




საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, ბედობივ ბეჭდუბი სიფყვას, ფყილებით და ჭბბბბით ბუბბის გაცვანა ყველა უჯარბისბბბე უსბბბგლებია.


დაარსებულია
 1918 წელს.
 

ოთხშაბათი, **24** ივლისი, 2013 წელი.
 №138 (7265)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

ყალბისმეძნელები მოღარნიზასიის ნიღბით



„ნებინშიარი პოლიტიკური პარტიის საქმიანობის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ④ წინააღმდეგ პარ“

② მალე თავისუფლების მოედნის წმინდა გიორგის ქებლზე ურჩხულის დამსველები გამოჩნდებიან

ქარდავას ორბაბი მოგებით ნაცველბიტას სეირობდა ⑤

ნირო ბურჯანაძე: რომ ვხედავდა ისეთი კანდიდატს, რომელსაც შეეძლება ჩემზე უკეთ მართოს ქვეყანა, გავაკეთებდი იმ არჩევანს, რას ოქტომბრის არჩევნებშიას გავაკეთე ④

უბოპიური ევრაზიული კავშირი ⑥

„ფოტოგრაფების საქმე“ – ორი წლის შედეგ ⑦



⑪ შეიძლება სულ მალე საქართველოს უკველასი ისტორია ახალი ფურცლით შეივსოს



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვებბან ვერ ნახავ!..

მწარე სივართლე

ისტორია არის გმირებისა და ანტიგმირების, სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის ასპარეზი.

გმირები ალაბაზებენ ისტორიას, როგორც ძვირფასი სამკაულები. სათავეში ექცევიან ერის სულიერ ცხოვრებას და ხდებიან მისი ბრძენი მასწავლებლები. გმირი არის თაობათა სიმინდის ნათელი ხატი, სიყვარულისა და სათნოების მარადიული სიმბოლო. მისი მთავარი საფიქრალია სულიერი სიმაღლე და მოღწეულით დაუკმაყოფილებლობა. ღირსეულ ადამიანებს დიდების შარავანდედს ისტორია მოგვიანებით ანიჭებს. გმირი არის პირდაპირი, უშიშარი, ამბულელები, სიკეთის მქადაგებელი და მთვყეული.

ანტიგმირები ისტორიის გამაყლებელი მაჯულაუზებია. მზად არიან ნებისმიერი უკეთურობის ჩასადენად. ცალკეულ ეპოქებში ისინი გმირებზე მეტნი არიან და მაშინ უდგება ერს შავი დღეები და ბედის ბოროტად უკუღმა იწყებს ტრაგედია. ანტიგმირები დაჯილდოებული არიან დემაგოგის ჯადოსნური უნარით. სიტყვების მაგიური თამაშით მონუსხულ ადამიანებს უმოწყალოდ მიაქაზებენ წყევლადისკენ. მათ სხვანაირად მოქმედება არ შეუძლიათ, ეს არის მათი თანდაყოლილი „ნიჭი“. ანტიგმირი ბოროტების განსახიერებაა. აღვივებს უნდობლობასა და სიძულვილს. სიამოვნებას ანიჭებს სისხლისა და ცრემლის ხილვას. კარგად გრძობს თავს სიბნელეში, ეშინია სინათლის. ანტიგმირი ეშმაკის მონაფე და მსახური, სიცრუისა და ბოროტების ერთგული მიმდევარი, მშიშარი, ფარისეველი, სულიერებისაგან დაცლილია.

საისტორიო ანალებში ძირითადად გმირებისა და ანტიგმირების პორტრეტებია დახატული. ქართველების ეპოქაში ყურადღების ცენტრში ექცევიან წარსულის უარყოფითი პერსონაჟები. მემბრანების ალნუსხული აქვთ გადაგვარებული სულია და ზნეობის „ძლიერი ამა სოფლი-სანი“, რომლებიც ზღაპრული ურჩხულის მსგავსად, მხოლოდ შხამსა და გელს ანთხვდნენ. პათოლოგიურ არსებათა ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ადამიანურობისაგან დაცლილი მხეცადეკულები ადამიანების ტანჯვა-წამების ყურებისას უდიდეს სიამოვნებას განიცდიდნენ. აღმოსავლეთის ქვეყნებში ადამიანების ფასი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მისი ცოცხლად გატყავება დიდ უბედურებად არ ითვლებოდა. დანაშაულს განსაზღვრავდა არა კანონი, არამედ კანონზე მაღლა მდგარი ხელისუფალი, რომელიც ფსიქიკურად სრულად ნორმალური იყო. ანთხვდები ყველა ეპოქაში იყო, მაგრამ ისეთი სიმრავლით და პათოლოგიური გადახრებით, როგორც ანტიკურ მწერლობაშია დაცული, იშვიათობაა.

დემონური სულის მატარებელ ხელისუფალთა შესანიშნავ გალერეას წარმოადგენს რომის იმპერია. „მარადიული ქალაქის“ ღვთაებრივი ცეზარული მსოფლიო წესრიგის კანონმდებლები იყვნენ და უდიდესი როლი აქვთ შესრულებული კაცობრიობის ისტორიაში. ღირსეულ იმპერატორთა მემკვიდრეებად გაიქცევიდნენ ისეთებიც, რომელთა არაადამიანური ქმედებანი საზოგადოებას დასუსტებდა და მსოფლიოს მსოფლიოს დედაქალაქს. გვირგვინოსნები: ძალბაშა, ნარონი, დომიციანი, კომოდო, პელინიუსი, საიმპერატორო ტახტის ძალმომრებით განუთხოვნიან განაგებდნენ ევროპის, აზიისა და აფრიკის კულტურული ნაწილის პედიდალს. კანონმდებელ რომში მათთვის ბუნდობი არ არსებობდა. არსდროს დაუცვთ ადამიანურობასთან მიასლოებული ნორმები. იმდროინდელ კულტურასა და განათლებას საკმაოდ დაუფლებულნი, საზოგადოებაში იქცეოდნენ, როგორც მოუთხიერებელი ცხოველები. ადამიანები აქციეს არარაობად და გასართობ საგნებად. ანადგურებდნენ ისტორიულ ძეგლებს, ან ქმნიდნენ ავადმყოფური ფანტაზიის ნიმუშებს. ბევრ მათგანს თავი ზეადამიანად მიაჩნდა და სახელ-დიდებაში ღმერთებსაც კი ეცილებოდა. გასათვალისწინებელია, რომ არც ერთი ეს ზეადამიანი ბუნებრივი სიკვდილით არ მომკვდარა, ყველანი შეთქმულების მსხვერპლნი გახდნენ (გამონაკლისი იყო ნერონი, რომელმაც თვითმკვლელობა სხვისი დახმარებით შეძლო). საზგასმით უნდა აღინიშნოს, ნორმალურობიდან საკმაოზე მეტად გადახრილი იმპერატორები დემონურ ბუნებას ავლენდნენ.

რომის ისტორიაში, როგორც სარკეში, კარგად ჩანს თუ რა არ უნდა ჩაიდინოს ქვეყნის სათავეში მდგომმა ხელისუფალმა, რათა არ დაირღვეს პარმონია საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის.

„ისტორია არის ცხოვრების მასწავლებელი“, ამბობდა ციციერონი. წარსული მასწავლებელია მაშინ, როდესაც იცნობ წარსულს. წარსულის უარყოფელი უარყოფს მომავალსაც და მისი ოქროპრობა არის ფარისევლობა და სიყაბუე.

ევროპამ, როგორც ანტიკური სამყაროს მემკვიდრემ, გაავრცელა სამართლიანობის ის იდეა, რომელსაც საფუძველი რომაელმა კანონმდებლებმა ჩაუყარეს. საუკუნეების განმავლობაში

იქედებოდა და დღესაც იქედება თემიდის სასწორი. კანონებმა ატყორცნეს თანამედროვე ევროპა იმ სიმაღლეზე, რომელზეც დგას. კანონებმა, წესრიგმა და საუნივერსიტეტო განათლებამ გადააქცია ევროპა სამყაროს აზროვნების ცენტრად. ბერძნულ-რომაული სიძველეებით დაინტერესებამ დაუდო სათავე ახალ ეპოქას, რენესანსს, რომელმაც არსებითად შეცვალა ადამიანის წარმოდგენა გარემომცველ სამყაროზე. დასავლეთის მეცნიერულმა სიახლეებმა, განსხვავებულ მოაზროვნეთა აღმოჩენების ერთ სისტემაში მოქცევამ ჩაუყარა საფუძველი თანამედროვე ევროპის გაბატონებულ მდგომარეობას ცივილიზებულ მსოფლიოში.

ევროპული განათლება და კულტურა არის ის ნიშანსვეტი, რომლისკენაც მიისწრაფის ყველა ერი (უნდა გამოვიტყოს პრიმიტიული და ქვის ხანაში მყოფი ტომები). ამ რეალობას ყოველგვარი რეკლამირების გარეშე, მეტ-ნაკლებად საკუთარ ფეხზე მდგარი გონიერი ხალხი, უხმაუროდ ქმნის.

ცნობილი (უნივერსიტეტი ხელმეორედ დააარსა ნაცისტური რეჟიმის მოკავშირე ვარსკვლავმა, სახალხო კომისარმა გ.ხუბუამ, რომლის მორალური და ზნეობრივი საგანძური რამდენიმეთვიანი უცხოური სერთიფიკატით განიზომებდა). ევროპული აზროვნების მიღწევები ფართოდ ვრცელდებოდა განათლებული საზოგადოების დიდ ნაწილში: მეცნიერებაში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში. უმძიმეს წლებშიც ქართველები ახერხებდნენ დასავლეთთან სიახლოვის შენარჩუნებას, არავის უარყვია ევროპის მაღალი დონე. ქართული ცოდნის ტაძარს უამრავი ძნელებლობა აქვს გადატანილი, მაგრამ ნაცისტების მსგავსი მრბველი მას არასოდეს ჰყოლია.

„ვარდების რევოლუციით“ სახელდებული გაუგებრობა შავ ნისლად ჩამოწვა საქართველოს ცაზე. რევოლუციის აღიარებულმა ბელადმა მ.სააკაშვილმა თავზე დაგვამსო ევროპულიც და ქართულიც. „მნიგნობარტუხუცეს“ ალ.ლომაიას სარდლობით აზვირთდა ცრურეფორმატორთა ანტიეროვნული ტალღა. გააქტიურდნენ საეჭ-

საქალაქის მშენებელი მოდერნიზაციის ნიჭით,

ანუ დაგესლილი ნიდაბი, რომელზეც არაფრის დათხსპა არ შეიძლება!



ევროპეიზაციის გაუკუღმართებული გაგება ზეიმობს დღევანდელ საქართველოში. თუ ევროპულ განათლებას და კულტურას ყველა ხალხი ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით უდგება, ქართველთა ჭირად გამოჩენილმა მოძრაობამ სრულიად განსხვავებული გზა აირჩია და ერი უმძიმესი კატასტროფის წინაშე დააყენა. ნაციონალიზმი (ნაციტები) წარმუერხველად აცხადებდნენ, რომ საქართველო შორს იდგა ევროპისგან და წარმოადგენდა სუფთა დაფუს. მათ გაგონილიც არ ჰქონდათ, რომ ჩვენთან მუდამ ტრიბუნას ევროპული სული, ვიდრე აღმოსავლეთის ბარბაროსები არ დასცემდნენ მის დიდებას. ოსმალეთის იმპერიის აღმართული სიბნელის კედელი ასწლეულები გაგრძელდა. დასავლეთისაკენ მიმავალი გზა გაიხსნა და ჩვენი ქვეყანა ევროპას დაუკავშირდა რუსეთის იმპერიის მეშვეობით. ამ რეალობას ცრუპატრიოტულ გაუგებრობაზე აგორებული უფიცობა კატეგორიულად უარყოფს. ისტორიიდან ცუდი არ უნდა დავივიწყოთ, მაგრამ კარგად დაფასება რომ მოითხოვს, ესეც ქვემარტებია.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა შუქჩრდილებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ერთ უმთავრეს რეალობას. რუსეთის უნივერსიტეტებში განათლებანილებულმა ქართველებმა შექმნეს თანამედროვე ქართული განათლება, მეცნიერება, კულტურა. ცრუპატრიოტულ რაშზე ამხედრებულ ვაიგანმანათლებლებს, ნუთუ ჰგონიათ, რომ რუსეთის უნივერსიტეტები არ აკმაყოფილებდნენ ევროპულ სტანდარტებს? ქართველი ახალგაზრდობა არა მარტო განათლებას იძენდა რუსეთში, არამედ ბევრი, როგორც პროფესორი, იქვე აგრძელებდა მოღვაწეობას (ბევრიც საიმპერატორო აკადემიის წევრი გახდა) და ამ მეცნიერებს ევროპელი სწავლებლებიც იცნობდნენ. რუსეთის უნივერსიტეტებში მოღვაწე ქართველებმა, რომლებსაც ევროპული სკოლაც ჰქონდათ გავლილი და კარგად ერკვეოდნენ დასავლურ ღირებულებებში, ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით დააფუძნეს თბილისის უნივერსიტეტი. ერის დიდმა მამებმა საფუძველი ჩაუყარეს ისეთ უმაღლეს სასწავლებელს, როგორც მათთვის კარგად იყო

ვო მონაცემებისა და განათლების ევროპულად „მოაზროვნე“ ახალგაზრდები, რომლებიც დასავლეთს ტურისტის დონეზე თუ იცნობენ, მაგრამ თავი ისე ეჭირათ, თითქოს ღრმად იყვნენ განსწავლული ევროპულ რეალებში.

ნაციტების დემაგოგიით ევროპის აღმოჩენა მოხდა 2003 წელს. მანამდე სად იყავით, არ ვიცოდით. მათი მტკიცებით ეს იყო დიდი გამონათების წელი, რომელსაც ქართველები უნდა გამოეყვანა გამოქვაბულიდან და დაეყენებინა განვითარების ევროპულ გზაზე. სიახლის ნაცვლად, ქვეყანა ჩაიძირა სიცრუის მორევეში. დაიწყო ღირსეულისა და უდიდისი, მცოდნისა და უცოდინარის არნახული გათანაბრება, მდროვეთა ორიბრობა და უზნეობა ზეიმი. ჩვენს თვალწინ დაიბადა ევრო-ამერიკელ „ჭკუისდამრიგებელთა“ ნახალისებელი ტირანია და ყველაფერი ერთი კაცისა და მისი უფერული გარემოცვის ნება-სურვილს დაექვემდებარა. საქართველო დამსგავსა ადულებულ ქვაბს, რომელშიც ტყუილი და მართალი ერთად იხარშებოდა.

2003 წელს დემოკრატიკაზე მეოცნებე ქართველებმა საზეიმო განწყობით ძალაუფლება გადასცეს პიროვნებას, რომლის უფლება-მოსილება თითქმის გაუთანაბრდა დემონებად შერაცხილ „ღმერთაცემის“ უფლებებს. ერთობიროვნული ხელისუფლება შეუდგა ერის დათრგუნვას და უსასტიკეს დამპყრობლად მოველინა მშობლიურ მიწას. ბელადის მსტოვარ-მსახურები, რევოლუციის „მზეჭაბუკები“ ენერგიულად დაქროდნენ აღმა-დაღმა და ათასგვარი სისუფლებებს სიბრძნის უკანასკნელ გამოხსივებად ახვედნენ თავს სასწაულის მომლოდინე ადამიანებს. უცხოური სერთიფიკატების ფრიალით (სხვათა შორის აფრიკის კაციაქამია ტომების ბევრ ბელადსაც ჰქონდა სორბონის, ოქსფორდის თუ სხვ. დიპლომები, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდათ ეჭამათ ადამიანის ხორცი) თავი ყველაფრის მცოდნეებად წარმოედგინათ. მათი მაღალი განათლებისა და ინტელექტისთვის საქართველო შეუფერებელი იყო. შემთხვევით გადიდკაცებულებმა მორალი და ზნეობა წარსულის გადმონაშთად გამოაცხადეს. კალიბებიც შე-

მოესივნენ ქართულ სულიერებას და ყოველივე ღირებული გამოხრეს და იავარყვეს.

მსააკაშვილმა და მისმა „ევროპულად“ განსწავლულმა „მზეჭაბუკებმა“ უმოკლეს ვადაში მიაღწიეს ერის ბრბოდ ქვევას და შეუდგნენ მის სრულ დაჩლუნგებას (ამის შესანიშნავი დადასტურებაა ეგვალტირებული ყიფინი, „მიშა-მიშა“). ბრბოდ ქვეული საზოგადოება არის არარაობა, რომელიც დაპარგული აქვს ღირსება და გონიერული განსჯის უნარი. იგი ვერ აცნობიერებს, რომ გარეგნულ ეფექტებზე აგებული ენამუეობა არის ეშმაკის მოგონილი ხერხი. ბრბო ვერ ხვდება, რომ პოპულისტური სიტყვები მივირნავენ შემოღობის ფორტებივით, ხე რჩება გაპარცეული და ელოდება ზამთრის ყინვებს. ბრბოდქვეულმა უგუზურებამ მოიყვანა მკაცრი ზამთარი. იგი ელოდება მხსნელს. მხსნელის იმედზე მყოფი ადამიანები გვანან ცხვრის ფარას. ჭკვიან მწყემსს ფარა მიჰყავს სწორი გზით, უჭკუოს — უფსკრულისაკენ (გამოიციანთ, რომელი მიმართულებით ნავიდა საქართველო?).

უცხოელი კეთილსმზრველებით გათამამებული ვარსკვლავბუკებმა საქართველოს თავს მოახვიეს ათწლიანი გაუგებრობა. კომპარის ამფრებდა ცრუპატრიოტთა შეურაცხყოფელი ცინიზმი, სიბარტული ცხოვრებით გალაღებული მოურიდებლად არწმუნებდნენ გაუბედურებულ ერს, რომ მათი ღვთაებრივი მოვლინებით ელრისათ თავისუფლება და ამის არადახსნე იყო უდიდესი შეცდომა. ქმნიდნენ ფონს, თითქოს იყვნენ ახალი საქართველოს მშენებლები, მუსლჩაუზრელად ზრუნავდნენ ევროპული სტანდარტების დასამკვიდრებლად. სინამდვილეში წაადიდნენ გაუგონარ ანტიეროვნულ ქმედებებს. ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ძნელია უფრო მძიმე ათწლეულის დასახელება.

ნაციტების სალოცავი ხატი გახდა ინგლისური ენა (მათი ევროპელობა გამოიხატებოდა ინგლისურის საყვედურო ცოდნით).

უცხოურისადმი თავყანისცემის ქართული ხომალდი მსააკაშვილთან შეჩერდა. ბელადის უწვდომო განათლებითა და სიბრძნით მოხიბლული რეფორმისტული ელიტა დითირამებს უგალობდა ახლად ფხადგმულ საოცრებას, რომელიც ჭირსეულად იფერებდა ქვეშევრდომთა სოტბას. კერძთაყვანისმცემლები თავიანთი გამრუდებული ფანტაზიით ნაკლები სიდიდის ვარსკვლავებსაც არ აკლებდნენ ქება-დიდებას. უმნიფარმა დემაგოგებმა ქვეყნის ბედი უკუღმა დაიკავეს ისეთი სიმაღლე, რომლის ტარება მათზე ნიჭიერებსაც გაუჭირდებოდათ.

მოდერნიზაციის პროგრამამ არსებულად სანატრელი გახადა. სიახლის პრეტენზიით გამოსულებმა კიდეც ერთხელ დაგვაშორეს ევროპას და გზა გაუხსნეს სიბნელეს. თვალთმაქცური უდიერებით დაარღვიეს, როგორც ადამიანური, ისე ღვთაებრივი კანონები და გზა გაუხსნეს უკანონობას. რეფორმების სატყუარათი მთელი ცხრა წელი ერი ატარეს გაურკვეველი მიმართულებით. ნაციტების კაცთმოძულეობაა ის ფაქტიც, რომ წინა თაობები, დონისა და ცენზის განურჩევლად, ვადაგასულელებად გამოაცხადეს და მიუთითეს, რაც ადრე გაეცლებოდნენ ნუთისოფელს, უკეთესი იყო (მივმართავ დღესაც ყველ მოღერებულ და ნირნამხდარ შეუცვლელად მორაკრაკე ნაციტებს: ბატონებო, თქვენი ვადაგასული პრეზიდენტის ჭკვიანთა ვასე გაფიცებით, კვლავ ძველ ჭკუაზე რჩებით?).

მოდერნიზაციისა და ევროპული სტანდარტების ბლეფმა ქართველთა საუკეთესო ნაწილი ჩარეცხ-გადარეცხა. მსგავსი შეურაცხმყოფელი სიტყვები მრავლად იფრქვეოდა ცხრაათი წლის მანძილზე „ურჩ“ ქვეშევრდომთა „შესამკობად“.

ქართველთა უმრავლესობის მოთმინებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ხმის ამოუღებლად, მონური მორჩილებით მიუყვებოდნენ ცხოვრების მძიმე გზას, შიშითა და ძრწოლენ ეგუებოდნენ ყოველდღიურობას. „შედრეკილ-შეშინებულსა“ და „ნაზრახ სიცოცხლეს,“ სიცოცხლე ქვია?

„ვარდების რევოლუციის“ რაინდებო, შავი დღეების მაუწყებლებო, სად გაგიფრინდათ მოდერნიზაციის გეგმა? ვისი დავალებით დააყენეთ ქართველები მადაგასკარელების გვერდით? ვის სამსახურში იდექით, როდესაც მშობლიურ ფესვებს თხრიდით და აგინებდით?

ისტორიული კანონზომიერებაა: ფორტუნა მდროვეებსა და მოძალადეებს ბოლომდე არ წყალობს.

კართაგენი დაეცა. კართაგენის ნანგრევებზე რომაელებმა სორბალი დათესეს. ნაციტების დაგესლილ ნაკვალევზე, არაფრის დათესვა არ შეიძლება, მხოლოდ შხამიანი მცენარე ამოიზრდება, რაც არანაკლებ სახიფათოა.

ბრანი ძამთარიანი



პრეზიდენტობის კანდიდატი



ნინო ბურჯანაძე: რომ ვხედავდი ისეთ კანდიდატს, რომელსაც შეეძლება ჩემზე უკეთ მართოს ქვეყანა, გავაკეთებდი იმ პრეზიდენტს, რას მოტომბრის პრეზიდენტობისას გავაკეთებდი

ჩემი ერთადერთი ვინაობა და გავიმარჯვებო! ასეთია დევიზი სახალხო კრებისა, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატად ნინო ბურჯანაძეს უჭერს მხარს და საზოგადოებასაც აქეთვე მოუწოდებს. ბურჯანაძის ოფისის მფლობელები ხშირად იმართება სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან. რამდენიმე დღის წინათ პრეზიდენტობის კანდიდატი რეგიონიდან ჩამოსულ სახალხო კრების წევრებსა და აღმასრულებელ საბჭოს შეხვდა. სხდომას ესწრებოდნენ ერთ-ერთი აქტიური ლიდერი თემურ შაშიაშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, რეზო ესაძე, გია ბურჯანაძე... და სხვები.

თემურ შაშიაშვილი: „პირველ ტურში, ვიცი, ქალბატონი ნინოს გამარჯვება გაუჭირდება. თუკი პირველივე ტურში გაიმარჯვებს მარგველაშვილი, ე. ი. არჩევნები გაყალბდა. მაგრამ მე ვიცი, რომ ტურში დარჩებიან მარგველაშვილი და ის, ვინც „ქართულმა ოცნებამ“ მის დასაპირის-



პირებლად შეარჩია, ეს ნიშნავს, რომ შეთქმულება მზადდება. ყველას კარგად ესმის, რომ რეალური კანდიდატი ნინო ბურჯანაძეა. ქალბატონი ნინოს გამარჯვება, ეს იქნება „ქართული ოცნების“ გადარჩენა. რადგან ჩვენ კი არ ვუპირისპირდებით მათ, არამედ თანამშრომლობას ვთავაზობთ ქვეყნის სასიკეთოდ.

ჩვენი აზრით, აუცილებელია ვადამდეული საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა. ივანიშვილს გუნდის დაკომპლექტება შეეშალა და ამას თვითონაც კარგად ხედავს. მას ვერც კი წარმოედგინა ქვეყანაში ასეთი კატასტროფული ვითარება თუ დახვდებოდა. პრემიერ-მინისტრის გარშემო მართალის მთქმელი კაცი არ დარჩა. არადა, ასეთი სწორი ინფორმაციის მიმწოდებელი იქნებოდა მისთვის ქალბატონი ნინო, ქალბატონი ნონა და სახალხო კრება.

ჩვენ ყოველდღიურად ვხვდებით ადამიანებს კონსერვატორებიდან, ფორუმელებიდან, სხვა პარტიიდან. გვიშველეთ, დომინანტი ძალა გახდა ოცნება და არაფრის გაგონება არ უნდათ. 200 წერილია გაგზავნილი ზესტაფონიდან პრემიერ-მინისტრის სახელზე, არც ერთზე პასუხი არ მიუღიათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხთან ურთიერთობა განცვეტილი აქვს მთავრობას. იცით თუ არა, რომ ქვეყანა კატასტროფული ვითარებაშია. 16 პროცენტით მეტი შედის ბიუჯეტში იუსტიციის სამინისტროდან ფურცლებისთვის გადახდილი ფულის სახით, ვიდრე სოფლის მეურნეობიდან მიღებული თანხაა. ამას თუ პრემიერი ვერ ხედავს, ე. ი. უკვე ძალიან ცუდად გვაქვს საქმე“.

ნინო ბურჯანაძე: „სამართლობას ერთად ვებრძოდით. სახალხო კრება – ეს არის მაგალითი შეუპოვრობის, სოლიდარობის, პასუხისმგებლობისა. იმის მიუხედავად, რომ ბევრს ეცადნენ, ჩვენს შორის განხეთქილება მოეხდინათ, ჩვენ საოცარი ერთიანობა შევინარჩუნეთ. 1 ოქტომბრის შედეგებზე ამ ბრძოლამ უზარმაზარი გავლენა იქონია.“

ძალიან კარგად ვიცი და მესმის, რა ელოდება მომავალ პრეზიდენტს. ვიცი, რამხელა მოლოდინი დგას ამ მხარდაჭერის უკან. მე რომ ვხედავდი ისეთ კანდიდატს, რომელსაც შეეძლება ჩემზე უკეთ მართოს ქვეყანა, გავაკეთებდი იმ არჩევანს, რაც ოქტომბრის არჩევნებისას, გზას სხვას დავუთმობდი, მაგრამ ჯერჯერობით ასეთს ვერავის ვხედავ. ქვეყნის პრემიერ-მინისტრს არა აქვს სწორი ინფორმაცია არც ეკონომიკურ და არც პოლიტიკურ მოვლენებზე ქვეყნის შიგნით. ცხოვრება კი არ გაუმჯობესდა, გაუარესდა, გვეუბნება ხალხი შეხვედრებზე. ეს არის შედეგი მახინჯი კომპაბიტაციისა. ვინ წარმოიდგენდა, რომ 9 თვის თავზეც კიდევ ნაციონალური მოძრაობის ფერებით ვიქნებოდით დაკავებული?!

ჩვენ ვემზადებით ხელისუფლებაში მოსასვლელად, ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში დავით ბაქრაძე. აი, ეს არის ყველაზე დიდი დანაშაული, რაც „ქართულმა ოცნებამ“ ჩაიდინა. 24-საათი ზრუნავენ იმაზე, თუ როგორ და სად შეხვდნენ ნაციონალურ მოძრაობას. ამ დროს კი ერთხელ ვერ გამოიძებნა დრო არასაპარლამენტო ოპოზიციასთან შეხვედრად. აქედან გამომდინარე არის სწორედ, რომ ხალხს გაუჩნდა ეჭვი, ხომ

არ მიდის შეთანხმება იმაზე, რომ ქართული ოცნება და ნაციონალური დარჩნენ მთავარ პოლიტიკურ მოთამაშედ? ეს რომ მართლაც ასე მოხდეს, ნაციონალური მოძრაობა პირველი რასაც იზამს, ქართულ ოცნებას შეჭამს!

რაც შეეხება კვლევებს, ამ ტიპის ციფრების გამოქვეყნებით, მოსახლეობა სურთ შეაგუონ იმ შედეგებს, რაც მათ უნდათ, ანუ ეს ემსახურება საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას. ჩვენი მონაცემებით, ჩვენი კვლევებით, რეიტინგი გვაქვს მაღალი და ძალიან ახლოს არის იგი ქართული ოცნების რეიტინგთან. ამდენად, დიდი შანსი მაქვს, გავიდე მეორე ტურში და გავიმარჯვო.

ნუ გამიბრაზდება ქალბატონი ნინო, ჩემი კანდიდატი თუ შევაქო, აღნიშნა პრემიერმა ამას წინათ. ღმერთი, რჯული, მსგავსი არაფერი მითქვამს. აქაც ჩანს, რა ცუდად აწვდიან მას ინფორმაციას. მე ვთქვი, პირველივე ტურში ჩვენი კანდიდატი გაიმარჯვებს და ქართული ოცნება მოიგებსო, ამის თქმა არ ივარგებს-მეთქი. თორემ ივანიშვილმა კანდიდატი უნდა შეაქოს, აბა რა?!

მთავარი სირთულე პრეზიდენტად არჩევის შემდეგ მელიოდება. ჩემი ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იქნება ჩამოყალიბდეს საშუალო კლასი. და ასევე, მთავარია საგარეო კურსის განსაზღვრა. ამ პრობლემას, როგორც ჩანს, „ქართული ოცნება“ ვერ ერევა. ნამდვილად არ ვაპირებ ვიყო ოპოზიციონერი პრეზიდენტი. მინდა, ვაკეთო ის საქმე, რაც ძალიან კარგად ვიცი, ხოლო ივანიშვილმა აკეთოს ის საქმე, რაც მან იცის კარგად!

თეა მუსია

მოსაზრება

„ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის საქმიანობის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების წინააღმდეგი ვარ“

– ბატონო ანკორ, მართალია პოლიტიკოსი არ ბრძანდება, მაგრამ თქვენი პუბლიკაციებით ხშირად ეხიანებით ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ პროცესებს, ერთ-ერთ თქვენს ადრინდელ პუბლიკაციაში ამბობდით, რომ პოლიტიკოსები, ქვეყნისთვის საშუალო ან უფრო დაბალი გონებრივი შესაძლებლობების ადამიანები არიან (თუნდაც ამაში საკუთარ თავსაც არ უტყდებიან). სამაგიეროდ, მათ ხელშია ძალაუფლება, რითაც საკუთარი ნაკლის გადაფარვას, უფრო ხშირად კი ამ ნაკლის ღირსებად წარმოჩენას ცდილობენ – მოჩვენებითი სიღარიბისლით, აგრესიულიობით, შეუფერებელი ლაყბობით, ან სულაც „ბრძნული მდუმარებით“...

– დავიწყებ იმით, რომ თქვენგან მოხმობილი ამონარიდი მე არ მეკუთვნის, თუმცა მის პათოსს ახლაც სრულად ვიზიარებ. რაც შეეხება პოლიტიკურ პრობლემებზე საუბარს, წინასწარ გეტყვით, რომ ვიქნები აბსოლუტურად მიუკერძოებელი და ობიექტური, რადგან კაცი მხოლოდ მაშინ არის მართალი, როდესაც ამბობს იმას, რასაც ფიქრობს.

– იქნებ დაგვიკონკრეტოთ პოლიტიკური პარტიებისადმი თქვენი უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზი და ისიც გვითხრათ, ყველა პოლიტიკურ პარტიას ეხება ეს, მათ უმეტესობას თუ მხოლოდ ზოგიერთს?

– რა თქმა უნდა, ეხება უმეტესობას, რომლებშიც ვერ შეიკვან იმ რამდენიმე პარტიას, რომელთაც ხელმძღვანელებს გამოცდილი და ავტორიტეტული პიროვნებები და, რა თქმა უნდა, სახალხო კრებისა და ეროვნული ფორუმის ხელმძღვანელ ბიორტს.

2011 წლის 4 ივნისს თქვენსავე გაზეთში გამოვაქვეყნე ვრცელი ინტერვიუ სათაურით „...ან ადვილად მიწისაგან პირისა როგორც ერი!“, რომელშიც საუბარი იყო პარლამენტში მოსახვედრად პარტიულ სიებში გამსვლელი ადგილის მოპოვებისთვის ქრთამის გადახდის დამკვიდრებულ წესზე; ე. ი. გრანტიჭამის პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც ხშირად გამოყოფილ თანხებს იყენებენ ქვეყნის დასაქვეყნად შემუშავებული პროგრამების განხორციელებისათვის და წურბელობით სწოვენ სისხლს ქვეყნის გასაცოცხლებლ ბიუჯეტს; „ახალგაზრდა ნაციონალებს“, „ახალგაზრდა ქრისტიან-დემოკრატებს“, „ახალგაზრდა ეროვნული დემოკრა-

გვესაუბრება აკონომისტი და სოცლისტი ანკორ ბაზუსაძია



ტების“ და სხვა „ინსტიტუტების“ საქმიანობაზე; კონსტიტუციასა და შესაბამის საკანონმდებლო აქტებში რადიკალური ცვლილებების შეტანის აუცილებლობაზე იმ ვარაუდით, რომ მომავალში საერთოდ უარი ვთქვათ ე.წ. პროპორციული არჩევნების მოქმედ სისტემაზე და ა.შ.

– ასეთი რადიკალური შეფასებებისა და წინადადებების მიუხედავად, ჩვენი გაზეთისათვის არავის არანაირი საპროტესტო წერილით, ან თუნდაც ტელეფონით არ მოუმართავს. თქვენ, ხომ არავის „აუკლისხართ“.

– სამწუხაროდ, ყველაფერმა სიჩუმისა და ინდიფერენტული დამოკიდებულების ვითარებაში ჩაიარა, რის მიზეზის ახსნის დრო და მომენტი ახლა რომ გვქონდეს, კარგი იქნება.

– დავუბრუნდეთ ცხელ თემას. გასულ კვირაში, პოლიტიკურ პარტიათა გარკვეულმა ნაწილმა გააპროტესტა პარლამენტის განხრახვა, ცვლილებები შეიტანოს პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების წესებში. მათი მტკიცებით, ასეთ შემთხვევაში, ფინანსური თვალსაზრისით, სასათბურე პირობები შეექმნება მხოლოდ რამდენიმე პარტიას, დანარჩენები კი, დაუფინანსებლობის გამო, ჩაიძირებიან. როგორია თქვენი პოზიცია?

– ყველაზე მოკლე და გასაგები პოზიცია ის გახლავთ, რომ პარლამენტმა იჩქარა, უფრო ზუსტად, წინასწარ ვერ გათვალა მოსალოდნელი შედეგები. ამის დასტური გახლავთ ის, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ პრაქტიკულად უკან დაიხია და ბრძანა, ამ საკითხზე მოგვიანებით ვიკვდილებო. მივესალმები, თუ საქართველოს პარლამენტი განსახილველად და გადანყვეტილების

მისაღებად დააყენებს საკითხს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის ნებისმიერი საქმიანობის დაფინანსების აკრძალვის თაობაზე, რასაც, დარწმუნებული ვარ, ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიამოვნებით დაუჭერს მხარს.

– კი, მაგრამ ეს ხომ ავტომატურად გამოიწვევს ე.წ. პოლიტიკურ პარტიათა აბსოლუტური უმრავლესობის საქმიანობის შეწყვეტას?

– ფიქრობ, რომ შემოთავაზებული წინადადების რელიზაცია ნამდვილად სასიკეთოდ წაადგება თითოეულ ჩვენგანს და, საერთოდ, ქვეყანას. ამ თემის ირგვლივ აუიოტაჟის ატეხვის შემთხვევაში, მზად ვარ, თანაბარ პირობებში, ნებისმიერი ფორმატით მივიღო მონაწილეობა ამ საკითხის განხილვაში. ღმერთმა ქნას, რომ გამოჩნდეს ქვეყნისთვის უფრო მისაღები და სასარგებლო გზა!

– და ერთი შეკითხვა. როგორია თქვენი აზრი ბატონი ბიძინა ივანიშვილის ფენომენზე? საზოგადოებაში ხომ არ გაჩნდა მისდამი ნიჰილისტური დამოკიდებულება, ანუ შეზღუდული ვალდებულებების შეუსრულებლობის მოლოდინი?

– ბატონ ბიძინა ივანიშვილს უკვე მხოლოდ ორი ფაქტორით აქვს გარანტირებული ქვეყნის ისტორიაში შესვლა. მსოფლიოში თითქმის ჩამოსათვლელია ისეთი პიროვნებები, რომლებმაც თავისი საკუთარი ქონება ასე უშურველად და უხმაუროდ მოახმარა თავის ქვეყანას. ეს ერთი. მისი მეორე და, ალბათ, არანაკლები მნიშვნელობის დამსახურება გახლავთ ის, რომ მან საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ჩაატარა ურთულესი უსისხლო ოპერაცია და ქვეყანა ისხნა ბოლო სტაფის ავთვისებიანი სიმსივნისგან. მიუხედავად ამისა, ბოლო დროს, აქა-იქ მართლაც შეიმჩნევა „ქართული ოცნებისადმი“ ნიჰილისტური დამოკიდებულება, მაგრამ ღრმად მწამს, რომ მისი ლიდერის მიერ საკადრო პოლიტიკის დახვეწისა და მოსახლეობასთან პირადი კონტაქტების გაუმჯობესების კვალობაზე, თითოეული ჩვენგანის თავდადების შემთხვევაში, ბატონი ბიძინა ივანიშვილი საქართველოს დააყენებს სწორ, თითოეული ჩვენგანისთვის სანატრელ გზაზე.

– ღმერთმა გისმინოთ!

ესაუბრა ანკორ ბაზუსაძია

დღეს, როდესაც 9 წლის განმავლობაში ნაციონალური ჩადენილი უამრავი დარღვევა და უსამართლო გამოვლინდა, სააკაშვილის მომხრეებისგან ხშირად გვეხმის — პრეზიდენტმა, ხელისუფლებისა და პარტიის პირველმა პირებმა არ იცოდნენ, თუ რა ხდებოდა შედარებით დაბალ ეშვლონებში. ამის მთქმელები ან უბრალოდ უმცირესი არიან, ან შეგნებულად ცდილობენ მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას. რადგანაც ყველამ იცოდა, რომ პრეზიდენტი, ხელისუფლება და ნაცების ბოსები ერთი თავყრილობა იყვნენ. სრავლდნენ ბიუჯეტს, მიზართვდნენ ძალადობას და, რაც მთავარია, იერარქიული კიბის დაბალ საფეხურზე მდგომი ერთგულები დაუსჯელობის იმუნიტეტით ჰყავდათ აღჭურვილი.

ქარაქვან სახლოლო კლანი

ზუზდიდის სატრანსპორტო კომპანია 1998 წლიდან ფუნქციონირებდა შპს „არდი-ერის“ სახით და მგზავრთა გადაყვანის კუთხით რეგიონში უდიდესი იყო. მის მმარტ არც ერთ ხელისუფლებას არ ჰქონია პრეტენზია. მას სახელმწიფოსგან იჯარით ჰქონდა აღებული შენობა და ტერიტორია. ჰქონდა გადაზიდვების ლიცენზია და ქვეყნის ყველა მიმართულებით ჰყიდდა ბილეთებს სამარშრუტო ტაქსებზე. ასე გრძელდებოდა 11 წელი, ვიდრე 2010 წელს მაშინდელმა, „პრეზიდენტისათვის სრულიად უცნობმა“ კუდიის უფროსმა მეგის ქარდავამ, მისმა მამამ ლევანმა, ქარდავების ოჯახის ფინანსისტმა და ბულალტერმა ბაჩუკი იზორიამ და პრეზიდენტის მიერ „ერთობორჯერ ნანახმა“ მეგისის მეგობარმა, კლასელმა, ბიზნეს-პარტნიორმა და შვილის ნათლიამ პეტრე მირცხულავამ არ დაადგეს თვალი ეკონომიკურად ძლიერ და სტაბილური შემოსავლების მქონე კომპანიას. ოდნავ მოგვიანებით „შესანიშნავ ოთხეულს“ მამა-შვილ ქარდავების ბიზნეს-პარტნიორი პურის საცხოვრებელი და გაზის გასამართ ავტოსადგურებში სერგო გელაშვილიც შეუერთდა. მათ უცერემონიოდ გადაწყვიტეს „არდი-ერის“ მფლობელისთვის ჩამორთმევა და მისაკუთრება.

როგორც დაქმნილი მასალებზე დაყრდნობით, ავტოსატრანსპორტო კომპანიის ადვოკატი ცოტნე მურღულია აცხადებს: 2010 წლის ოქტომბერში (რიცხვი არ კონკრეტდება), „არდი-ერის“ ადმინისტრაციულ შენობას მიადგნენ ქარდავების წარმომადგენლები გელაშვილი და იზორია. ამ დროს შენობაში იყვნენ მოლარე და ორი თანამშრომელი. მოსულეებმა მოურიდებლად მოითხოვეს, რომ სამივეს დაეტოვებინა შენობა და თან აუხსნეს — ეს კომპანია დღეიდან ჩვენიაო.

დამხვედურებმა კარგად იცოდნენ ვისი სახელითაც მოქმედებდა წყვილი, ამბობს უფლებადამცველი, და იქვე განაგრძობს, მასპინძლებმა მხოლოდ თავიანთ უფროსთან დაკავშირება მოითხოვეს, მაშინ გელაშვილმა ურჩიათ ერთ-ერთი ფანჯარასთან მიიყვანა და ეზოში გაახვეს. იქ საშინელება ტრიალებდა, — ტერიტორია სავსე იყო ნიღბიანი სპეცრაზმიელებით, პოლიციელებითა და „პიკაპებით“. მათ კარგად იცოდნენ, რაც მოყვებოდა ელემენტარულ წინააღმდეგობას. ჯერ ადგილზე ცემა, შემდეგ პოლიციაში წამება და ბოლოს, შესაძლოა, გისოსებს მიღმაც აღმოჩნებილიყვნენ, სადაც ყველა ჩამოთვლილთან ერთად ცოცხებიც ელოდათ.

ამგვარად გამოყარეს შენობიდან 11-წლიანი სტაჟის მქონე ორგანიზაცია. შექმნეს შპს „პირამიდა და კომპანია“, რომლის დამფუძნებელიც გახდა მეგისის ნათლიორი პეტრე მირცხულავა.

მურღულიას განმარტებით, ახლაგამომცხვარ ბიზნესმენებს არავითარი დოკუმენტაცია არ გააჩნდათ (ბიზნესსაქმიანობის, სამართლებრივი უფლება, მიწის, შენობის დაკავების უფლება და ა. შ.). მიუხედავად ამისა, ისინი საქმიანობას 2010 წლის ოქტომბრიდან 2011 წლის

აპრილამდე უკანონოდ ასორციელებდნენ. არ ხდებოდა მგზავრობის საფასურის ქვითრის გამოწერა, ბიუჯეტთან ანგარიშსწორებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მძლოლებიც ჩვეულებრივად განაგრძობდნენ მუშაობას. ვის ჰქონდა ორი თავი ხმა ამოედო, — ასკვნის კომპანიის ადვოკატი. მის ხელთ არსებული დოკუმენტაციით, ადმინისტრაციული შენობა და ტერიტორია მისი

ქარდავანს ორმაგი მოგებით ნაცელიტას სეირობდა



დაცვის ქვეშ მყოფ ორგანიზაციას იჯარით ჰქონდა აღებული. ანგარიშვალდებული იყო ეკონომიკის სამინისტროსთან, რომელმაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გააუქმა ხელშეკრულება (რომელსაც კიდევ 6 წელი ჰქონდა ვადა).

ახალი მეპატრონის გამოავლენად ხალხის თვალის ასახვევად მეპურე ვერამ დანიშნა აუქციონი. მასში მონაწილეობის სურვილი ქარდავების მოძალადე კომპანიის გარდა, გამოთქვა „არდი-ერისმაც“. მაგრამ ვერონიკამ და მისმა მოადგილემ დავით გიორგაძემ დაზარალებულები საერთოდ არ დაუშვეს კონკურსში. გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „პირამიდა და კომპანია“. ეს მაშინ, როდესაც დამარცხებული კომპანია თვეში 2,5 ათასი ლარის გადახდის პირობას იძლეოდა ქარდავების 500 ლარის საპირწონედ. მაგრამ ასეთი იყო ნება ვერონიკასი. ეს იყო სახელმწიფო სტრუქტურის მიერ ქვეყნის ბიუჯეტის საზიანოდ შეგნებულად ჩადენილი დანაშაული, რაც სისხლის სამართლის საქმეა, — აზუსტებს უფლებადამცველი.

დღეს ქარდავების შპს მირცხულავას ხელმძღვანელობით ფუნქციონირებას ისევ განაგრძობს. ისევ ვერონიკას დანესებულ ნიხრს — 500 ლარს იხდის ბი-

უჯეტში, მაშინ, როდესაც 2,5 ათასი გადამხდელი „არდი-ერი“, შენობისა და ტერიტორიის ყოფილი კანონიერი მფლობელი, თამაშვარე მდგომარეობაშია.

მომხდარზე ენით აუნერელ, უსირცხვილობის საწინმუშო განცხადებას აკეთებს მოძალადე შპს-ს მფლობელი პეტრე მირცხულავა. იგი არ მალავს, რომ მეგის ქარდავას „კლასელია“ (გვერდს უვლის ნათელიმონის), მაგრამ „ვერ ხედავს“ ამ ახლობლობასთან მისი ბიზნესის კავშირს, იგი ამბობს, რომ ავტოსატრანსპორტო კომპანიის მფლობელმა ავტო ენუქიქემ პირადად დაურეკა მას. იგი უქმყოფილო იყო ზუგდიდელებით და ფირცხალავას სთხოვა ვითანამშრომლოთო. მაგრამ ენუქიქეს მიწა საკუთრებაში არ ჰქონდა და რკინიგზის დერატამენტმა (რა შუაშია — რედ.) აუქციონზე გამოიტანა, რომელიც მე მოვიგეო, აცხადებს მირცხულავა და ყვება თავის სატიკვარს, რომ „არდი-ერი“ მას პროკურატურაში უჩიოდა (თანამშრომლობის მსურველი? — რედ), ახალაიათი აშინებდნენ. 15-ჯერ დაუკითხავთ, მაგრამ დარღვევა ვერ აღმოუჩინეთ (ახლადაი ქარდავას აღმორჩენდა დარღვევას? — რედ). მერე „პატიოსან მიყველს“ მძლოლებისთვის მიუმართავს, უჩვენებია დოკუმენტაცია და მათაც „არდი-ერის“ ნაცვლად „პირამიდა კომპანიასთან“ გაუფორმებიათ ხელშეკრულება (არ გააფორმებდნენ და მათი ავტობება — რედ).

მეგობარზე, მოყვარეზე, კლასელზე თურმე „პატიოსანი“ ბიზნესმენი ნაწყენიც კი ყოფილა. მას ერთ-ერთი საერთო ნაცნობის დასავლავებაზე ქარდავასთვის „არდი-ერის“—თან ატეხილია აუიოტაჟის გამოდამარცხდა უთხოვია. პასუხად კი მიუღია — ახლა შევარდნაძის დრო არ არის. თუ უდანაშაულო ხარ, ხელს ვერავინ გახლებსო. წინა ხელისუფლების დროს მირცხულავა სასამართლომ გაამართლა (და ის კი ამბობს, რომ ქარდავა საერთოდ არ დახმარებია, — ზ. ბ.).

ამავე დროს ადვოკატ მურღულიას მოეპოვება მტკიცებულებები, სადაც რამოდენიმე პირი (ვინაობა არ კონკრეტდება) ამტკიცებს რომ ავტოსადგურიდან ყოველთვის ურად მიჰქონდათ 7 ათასი ლარი უფროსი ქარდავასთვის (შვილმა მამა „პოლინი“ წილში ჩასვა — ზ. ბ.).

ამ ძალმომრეობის ფაქტებმა გამახსენა ის პერიოდი, როდესაც „დემოკრატიულობის დროშის“ ქვეშ დარბაზული „მხედრონი“ ქობალას ნარჩენებთან ბრძოლის მოტივით სამეგრელოს, ზუგდიდს შეესია. ერთ-ერთი წესიერი მხედრონიელი თავის ლიდერთან ჯაბა იოსელიანთან მივიდა და ჰკითხა — ბატონო ჯაბა, ხელფასი როდის იქნებაო. ყოფილმა თეატრმცოდნემ ირიბად გახვედა კითხვის დამსმელს — ბიჭო, იარალი მოგეცი, ხელს არავინ არაფერში გიშლის და კიდევ ხელფასს ითხოვო! — იყო პასუხი.

საინტერესო დასკვნას აკეთებენ ანალიტიკოსები. მათი აზრით, 2010 წელს, როდესაც ნაცმძროაობა ხვედებოდა, რომ იწყებოდა მათი პარპაშის დასასრულის დასაწყისი, ამ დროს კი ახლოვდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, „ვარდოსნებმა“ მასობრივად დაიწყეს მსხვილი ქალაქების ავტოსადგურების თავიანთი კონტროლის ქვეშ მოქცევა. ეს ლიდერებს არა მხოლოდ კერძო ბიზნესის გაკონტროლებაში უწყობდა ხელს, არამედ არალეგალური შემოსავლებიდან „ნაცების“ წინასაარჩევნო ყულაბა იგებოდა. ამასთანავე, ნაცები კონტროლს ამყარებდნენ ავტოსატრანსპორტით მოსახლეობის გადაადგილებაზე როგორც დედაქალაქის მიმართულებით, ასევე პირიქით.

ამჟამად ზუგდიდის ავტოსადგურის საქმესთან დაკავშირებით პროკურატურაში მიმდინარეობს საქმის შესწავლა.

ზაზა ბილინოძე

ალიან-ჩალიანი

გელაქვან ფოხსაქა სალავაქაქა უფლებამოსილების მოხსნით იშუქაქა

უმრავლესობის წარმომადგენელი, ბორჯომის მაჟორიტარი გედევად ფოხსაქე სადუქტატო უფლებამოსილების მოხსნით იშუქრება.

როგორც ფოხსაქე აცხადებს, თუკი სახელმწიფო იპოთეკით დატვირთულ ქონებებთან და დაკავშირებული ალსრულებით ღონისძიებებთან დაკავშირებით ექვსი თვის განმავლობაში ქმედით ღონისძიებებს ვერ შეიმუშავებს და ამ მიმართულებით წარმოქმნილ პრობლებას ვერ გადაჭრის, ექვს თვეში ბორჯომში მაჟორიტარული არჩევნები იქნება ჩასატარებელი.

აღნიშნული განცხადება დეპუტატმა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გააკეთა, სადაც დეპუტატები მის მიერ ინიცირებულ პროექტს იხილავენ, რომლის საფუძველზეც, სასესიო ან იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე აღსრულების მქონე მემბრის განხორციელება 1 თებერვლამდე ჩერდება.

საკითხის განხილვისას საკმაოდ სკეპტიკური მოსაზრებები დაფიქირდა იმასთან დაკავშირებით, რომ ექვსთვიანი მორატორიუმი მხოლოდ გამოსახლებებს შეაჩერებს ექვსი თვით, მაგრამ ეს წარმოქმნილ პრობ-

ლემას ვერ გადაჭრის. ხაზი გაესვა, რომ საქმე კერძო ურთიერთობებს და კერძო შეთანხმებებს შეეხება.

იპოთეკით დატვირთულ ქონებასთან დაკავშირებული საქმეების აღსრულების 1 თებერვლამდე შეჩერება ხანგრძლივ ვადად მიანია იუსტიციის მინისტრის მოადგილეს ალექსანდრე ბარამიძეს.

საკომიტეტო განხილვისას აღინიშნა ისიც, რომ წარმოდგენილი ცვლილებების პროექტი კომერციულ ბანკებს არ შეეხება.

ოთარ ჩრდილი: არ შეიძლება განკარგოს საქმეები მოქალაქეებს ექსპორტით ისა, როგორც საქმეები ექსპორტზე

— ბანაცხად კოალიცია „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ოთარ ჩრდილელმა, სადაც კანონმდებლები ერთ-ერთ საკითხად სააღსრულებლო წარმოების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებს განიხილავენ.

მისივე განმარტებით, აუცილებელია საბანკო სექტორმა გადადგას ნაბიჯი საკუთარი მოქალაქეებისკენ და მხოლოდ საკუთარი თავის წარმატებაზე არ იყვნენ მორგებული.

„ძალიან დიდ ბოდიშს ვუხდის ყველას, მაგრამ ადამიანები ძალიან მაღალ პროცენტს იხდიდნენ, ხელყოფდნენ ადამიანების საკუთ-

რებას, გამარტივებული იყო აღსრულება და ეს სფერო მორგებული იყო მთლიანად ბანკებზე. — ძალიან ვთხოვ ბანკებს, გადადგან ნაბიჯი მოქალაქეებისკენ. არ შეიძლება ყოველთვის მოქალაქეებმა გადადგან უკან ნაბიჯი, — განცხადდა ჩრდილელმა.

პარლამენტმა შენობის ექსპლუატაცია-საქმიანობის შეწყვეტის შესახებ განკარგოს საქმეები მოქალაქეებს ექსპორტით ისა, როგორც საქმეები ექსპორტზე

პარლამენტმა შენობის ექსპლუატაცია-საქმიანობის შეწყვეტის შესახებ განკარგოს საქმეები მოქალაქეებს ექსპორტით ისა, როგორც საქმეები ექსპორტზე. — ძალიან დიდ ბოდიშს ვუხდის ყველას, მაგრამ ადამიანები ძალიან მაღალ პროცენტს იხდიდნენ, ხელყოფდნენ ადამიანების საკუთ-

სპლუატაციაში მიღება და მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

ასევე თბილისის მერის ინიციატივით, სამშენებლო საქმიანობაში გამოცხადდა ფინანსური ამნისტია, რის საფუძველზეც დაკისრებული ჯარიმებისა და საურთავებისგან გათავისუფლებიან ის პირები, ვინც მშენებლობის დროს დაშვებულ დარღვევებს 6 თვის განმავლობაში ნებაყოფლობით გამოასწორებენ. თბილისის მერი გიგი უგულავა გუშინ დეველოპერებსა და მშენებლებს შეხვდა, აღნიშნული სახსრები პირადად გააცნო და მათი მოსაზრებები მოისმინა.

არსებული მონაცემებით, თბილისის ტერიტორიაზე 2 500-მდე ობიექტია, რომელთა მშენებლობა დასრულებულია, თუმცა, ისინი ექსპლუატაციაში არ არის მიღებული და შესაბამისად, მეპატრონე მათ საჯარო რეესტრში რეგისტრაციას ვერ ახდენს. ამ ობიექტების ძირითად ნაწილს დარღვეული აქვს მშენებლობის პროექტი ან ექსპლუატაციაში მიღების ვადა. დღემდე მოქმედი რეგულაციით ასეთი ობიექტის მეპატრონე ვალდებული იყო საჯარო სამსახურის განხორციელების ექსპლუატაციაში მიღება, რაც ხშირ შემთხვევაში საკმაოდ სოლიდურ თანხებთან იყო დაკავშირებული. შესაბამისად მენაშენე თავს იკავებდა ამ პროცედურების გავლისაგან.

ქი-იბ-ენი, ინტერპრესი

გორის „კრაზიული“ შპს-ის

უპოპიური კრაზიული კავშირი

პარმა ხანია, პუტინი ევრაზიული კავშირის შექმნის იდეის მონაწილედ გამოდის. ცალკეული უცხოელი მიმომხილველი ამ კავშირის შექმნას საბჭოთა კავშირის შექმნის შენიღბულ მცდელობად აღიქვამს, იმ საბჭოთა კავშირის, რომლის დაშლაც პუტინმა გამოიტყობა და მეოცე საუკუნის უდიდეს გეოპოლიტიკურ კატასტროფად მოიხსენია.

რამდენიმე დღის წინათ გორში ევრაზიული კავშირის იდეის მომხრეები შეიკრიბნენ და ამ კავშირში საქართველოს მონაწილეობა პრობლემების გადაჭრის გზად დასახეს. მათი აზრით, ევრაზიული კავშირის იდეა ტერიტორიულ საკითხსაც გადაჭრის წინააღმდეგ შემთხვევაში, „ნატო-ნატოს ძახილში ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე კვლავაც დაემუქრება“.

შეხვედრის მონაწილეების იმედის მიუხედავად, რუსმა ექსპერტებმა ეს მოლოდინი გააქარწყლეს და ამ გზით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება კატეგორიულად გამორიცხეს. თუმცა, კრემლის მთავარმა იდეოლოგმა და ევრაზიული მოძრაობის ლიდერმა, ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა ალექსანდრე დუგინმა პირდაპირ აღნიშნა, რომ პრობლემები, რომელიც საქართველოს აქვს, სწორედ ევროკავშირისა და ნატოში განწევრიანების სურვილთაა გამომწვეული.

„ქართველები და რუსები ერთ მართლმადიდებლურ ცივილიზაციას ვეკუთვნით. დღეს, როდესაც ცივილიზაციების კონფლიქტზე ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ისტორიის განვითარების მიუხედავად, რუსები და ქართველები ერთად უნდა ვიყოთ“, - ასეთნაირად მიმართა კონფერენციის დამსწრეთ სკაიპით ჩართვისას ალექსანდრე დუგინმა.

სხვათა შორის, გორში შეხვედრის მონაწილეთა ერთი ნაწილი ევრაზიის კავშირის იდეას უტოპიად მიიჩნევს. ასეთი პოზიცია აქვს პარლამენტის ყოფილ დეპუტატს, პოლიტოლოგ პეტრე მამრადს.

როგორც პეტრე მამრადემ For.ge-სთან საუბარში აღნიშნა, ევრაზიული კავშირის შექმნის იდეა რეალობას მონაცემებით აღემატება. დღევანდელ რუსეთის საბჭოთა კავშირის შექმნა არ შეუძლია, რადგან ეს მას დამატებით ტვირთად დაანეგება და რეალურ შედეგს ვერ მოუტანს. იმ შემთხვევაში, თუ ევრაზიული კავშირი შეიქმნება და მასში საქართველო გაერთიანდება, ეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნების საკითხს მაინც ვერ მოაგ-

ვარებს. პეტრე მამრადის თქმით, ასეთივე აზრი აქვთ ცნობილ რუს ექსპერტებს თუ პოლიტოლოგებს. ისინი ამტკიცებენ, რომ რუსეთში არსებული სავალალო ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური ვითარების გამო, შეუძლებელია, დღევანდელმა რუსეთმა და მისმა მთავრობამ შეძლოს მსგავსი პროექტის განხორციელება.

„ეს სულ სხვა ეკონომიკური კავშირია, ხოლო ის, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ოდესმე გახდეს ისევ ერთიანი საქართველოს შემადგენელი რეგიონი, თავისი უფლებებით, ეს არ უკავშირდება ევრაზიულ კავშირს. ამდენად, ეს არის მხოლოდ რუსეთის მთავრობის პიარი და სხვა არაფერი“, - აცხადებს პეტრე მამრადი.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორ აღიქვამს ევრაზიული კავშირის იდეაზე მსჯელობას დასავლეთი, პეტრე მამრადი აცხადებს, რომ დასავლეთში გაცილებით უფრო სერიოზულად განიხილავენ თურქეთის მთავრობის პროექტს, მათ შორის იმას, რაც თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლიად განაცხადა თავის ინტერვიუში. კერძოდ, „ჩვენ ვზრუნავთ იმაზე, აღვადგინოთ ოტომანთა უძლეველი იმპერია, ოღონდ მშვიდობიანი გზით, ყოველგვარი დაძალების გარეშე, მხოლოდ ფინანსური და ეკონომიკური პერსპექტივებით, ისევე, როგორც ჩვენ ამას ვაკეთებთ საქართველოში, კერძოდ, - აჭარაში“.

ამის მიუხედავად, პეტრე მამრადეს მიაჩნია, რომ მსგავსი შეხვედრები, როგორც გორში ჩატარდა, აუცილებლად უნდა გაიმართოს, რათა ყველამ გააანალიზოს და სწორი ინფორმაცია მიიღოს არსებული ვითარების შესახებ. მისივე თქმით, ჩვენში ბოლო 25 წლის განმავლობაში ბევრი უბედურება სწორედ იმის გამო დატრიალდა, რომ ადამიანებს ცალკეული საკითხები ირგვლივ ინფორმაცია არ ჰქონდათ. ხალხის დიდმა ნაწილმა დღესაც არ იცის, რას წარმოადგენს დსთ, ნატო, ევროკავშირი. ამიტომ არ უნდა არსებობდეს ტაბუ რაიმე თემაზე.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინ-

ტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე ელენე ხოშტარია ვერანაირ პრობლემას ვერ ხედავს, რომ ადამიანებმა თავიანთი შეხედულებები გამოხატონ, თუნდაც, ევრაზიული კავშირის შექმნის შესახებ, თუმცა, ექსპერტს ეს იდეა უფრო მარგინალურ მოვლენად მიაჩნია, რაც არ ასახავს ქართული საზოგადოების პოზიციას თუ შეხედულებებს.

ელენე ხოშტარიას შეფასებით, ქართული საზოგადოება მკაფიოდ ჩამოყალიბებულია პროდასავლურ კურსზე და ამ მხრივ, ევრაზიული კავშირის იდეა უფრო ხელგნულად მართულს ჰგავს, თუნდაც იმავე რუსეთის მხრიდან მათი მარიონეტების გამოყენების გზით.

„ეს უფრო თემის აგორების მცდელობაა და დღეს ეს ხელგნული პროცესია. საფრთხე სხვა რამეშია, რამდენად ეფექტურად მოვახერხებთ პროდასავლური კურსის განხორციელებას და რამდენად ნაკლებ შეცდომას და ვიწვევთ რუსეთთან ურთიერთობაში, რომ არ აღმოგვჩნდეთ იძულებული უარჩევანის წინაშე, იმავე ევრაზიული კავშირის თუ რუსეთის მხრიდან სხვა სახის გავლენის თვალსაზრისით, ქართულ სახელმწიფოებრიობაზე“, - აღნიშნა ელენე ხოშტარიამ.

ამასთან, განმარტა, რომ შეგვიძლია, რუსების შემოთავაზებები უბრალოდ „გადავხვიოთ“ და მივხვდებით, რომ წლების განმავლობაში ერთსა და იმავეს ვისმენდით. კერძოდ, წინათაც გვპირდებოდნენ, დსთ-ში თუ შემოხვალთ, ტერიტორიულ პრობლემებს მოაგვარებთ. თუმცა, ეს პრობლემები არათუ მოგვგვარეთ, არამედ კიდევ უფრო გართულდა.

ელენე ხოშტარია ევრაზიული კავშირის შექმნის მოსურნე რუსების კიდევ ერთ არგუმენტს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ რუსეთის მხრიდან ერთმორწმუნეობით აპელირება კიდევ ერთი ფარისევლური არგუმენტია. მეტიც, ეს ყველაფერი გავლილი აქვს ქართულ საზოგადოებას და არც ახალ მთავრობაში არ არის იმის საფუძველი, რომ ასეთ არგუმენტებზე სერიოზულად იფიქროს.

ამასთან, ექსპერტი აცხადებს, რომ დასავლეთში არავინ ყურადღებას არ მიაქცევს, თუკი სადღაც შეიკრიბებიან რუსეთისგან ღიად მართული ადამიანები და ამ თემაზე ისაუბრებენ. დასავლეთისთვის გადამწყვეტია ქართული საზოგადოების მტკიცე და პროდასავლური კურსი, რომელიც არათუ ახლა, ომის დროსაც კი არ შეწყვეტია. მათთვის მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის პოლიტიკა, იმ სტანდარტების დაკმაყოფილება, რაც აუცილებელია ნატოში გაწევრებისთვის და გონივრული პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით. ასეთია ელენე ხოშტარიას პოზიცია.

მანანა ნოზაძე

თუ მოინდობა!

თბილისში გლდანის ყველაზე დიდ დასახლებაში მდებარეობს და ფუნქციონირებს 23-ე პოლიკლინიკა. აი უკვე 38 წელია, დაარსებიდან, მას ხელმძღვანელობს გამოცდილი და საქმის ჩინებული ორგანიზატორი ქალბატონი იზა გველესიანი.

ქალბატონ იზას ხელმძღვანელობით 23-ე პოლიკლინიკა თბილისში წარმატებულად გახდა, კეთილგანწყობით სარგებლობს, როგორც სამედიცინო ნრეში, ასევე მოსახლეობაში.

სახელმწიფო პოლიტიკიდან გამოდინარე, 2011 წელს პოლიკლინიკა უნდა შეეძინა კოლექტივს, მაგრამ არასწორად ჩატარებული აუქციონის შედეგად მოხდა დიდი დარღვევები, რამაც ის გამოიწვია,

იზა გველესიანის გადარჩენილი პოლიკლინიკა გლდანში

გამოცდილი სპეციალისტები და ჩამოაყალიბეს მძლავრი დაწესებულება, რომელიც ემსახურება გლდანი-ნაძალადევის მოსახლეობას.

პოლიკლინიკას სადაზღვევო კომპანია „არქიმედესთან“, გლობალ ჯორჯიასთან“, „ჯეოპოსიტიტთან“ და სხვებთან დადებული აქვთ ხელშეკრულება და ემსახურება 6 წლამდე ბავშვებს, სტუდენტებს და 60 წლის ზევით ასაკის მოსახლეობას. გარ-

ქალბატონი იზა ყველას ესმარება - დიდსაც და პატარასაც, აძლევს რჩევებს, ზოგჯერ რიგგარეშე შეყავს ექიმ-სპეციალისტებთან საკონსულტაციოდ. მისი გულისხმიერების ამბავი თითქმის ყველამ გაიცო, ამიტომ ჩანანერები საკმაოდ დაგროვდა სამადლობელ წიგნში. აი მათგან რამდენიმე.

ნათელა გოპაჯიშვილი: „ქალბატონი იზა გველესიანს ვიცნობ დიდი ხანია, მან სა-

ბა. ჩემი ისტორია მძიმე და ეკლანი... რომ არ ყოფილიყო იზა ექიმი, ამ გზას ვერ გავივლიდი. დიდი მადლობა, ღმერთი ფარავდეს მას და მის ოჯახს, მის ქალიშვილს ლელა ფირცხალაიშვილს, რომელიც ძალიან თბილი, ჭკვიანი და სამართლიანი ადამიანია“.

ნატალია მიძაბარიძე: „იზა გველესიანზე ლეგენდები დადის. დიდი სიყვარული მინდა გამოვხატო მის მიმართ... როცა ის - ახალგაზრდა, ლამაზი, ძალიან ჭკვიანი, ჩემს შვილებთან მოდიოდა სახლში, მისი ყველა სიტყვა ჩვეთვის კანონი იყო, მისი გვეჯეროდა და გვენამდა. ახლაც შვილიშვილი დამყავს საკონსულტაციოდ. ჩვენი მეზობლებიც იზა გველესიანის პოლიკლინიკაში დადიან. აქ ძალიან კარგია და კმაყოფილები ვართ...“

რიმა საბაბაძე: „ძალიან კმაყოფილი ვარ იზა გველესიანის და აქაური კარდიოლოგის ბატონ დ. კირკიტაძის, რომელმაც დამისვა სწორი დიაგნოზი და გამომიყვანა მძიმე კარდიოლოგიური დაავადებიდან. კერძოდ: სითხის არსებობა გულის არეში“...

ყველა ჩანანერს ვერ ჩამოთვლით. მადლობის სიტყვები ოჯახის ექიმებზე, სპეციალისტებზე.

ძალიან თბილად და სიყვარულით წერს ნატო გეგაშიძე გენერალურ დირექტორ ლელა ფირცხალაიშვილზე, რომელმაც ყველაფერი გააკეთა და შვილი სიკვდილს გადაურჩინა. დააფინანსა საკმაოდ ძვირად ღირებული ოპერაცია და გააკეთებინა საქართველოში ყველაზე კარგ სპეციალისტებს.

ახლა ლელა ფირცხალაიშვილისა და იზა გველესიანის თაოსნობით პოლიკლინიკისათვის შენდება ოთხსართულიანი ულტრა-სონოგრაფიული ულტრაბუნების შენობა, სადაც მალე გადავლენ.

მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ მათი სიცოცხლე საიმედო ხელშია. და აქ ყოველთვის ხალხმრავლობაა.

მურად ალაშვილი ავტორის ფოტოები



რომ პოლიკლინიკა შეისყიდა „მედაპიტალიზმ“ („ავერსის“ და პ.ს.პ.-ს გაერთიანებულმა კომპანიამ), რასაც მოყვა თანამშრომელთა დიდი ნაწილის განთავისუფლება წამყვან ექიმებთან ერთად.

ამ გამოუვალ სიტუაციას არ შეუშინდნენ გენერალური დირექტორი ლელა ფირცხალაიშვილი და აღმასრულებელი დირექტორი იზა გველესიანი. მათ ჩამოაყალიბეს ახალი შ.პ.ს „სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი - 23-ე პოლიკლინიკა“, რომელიც მდებარეობს ხიზანიშვილის ქ. №28-ში და დაასაქმეს ძველი პოლიკლინიკიდან წამოყვანილი კადრები, მოიწვიეს

და ამისა, მონაწილეობს მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევაში 6-60 წლამდე.

პოლიკლინიკა აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო აპარატურით: რენტგენის, ექოსკოპიის, კარდიოექსკოპიის ლაბორატორიებით... ექიმებიც გამოცდილი სპეციალისტები და სწავლებული აკითხავს პოლიკლინიკას იმ იმედით, რომ კვალიფიციურ დახმარებას მიიღებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი იმით მოდის აქ, რომ ხვდება საყვარელ და საამაყო ექიმს, გულისხმიერ ხელმძღვანელს და უბრალოდ კარგ ადამიანს იზა გველესიანს.

მი შვილი გამიზარდა... მასწავლება, როცა ჩემი უფროსი ვაჟი ძალიან ავადა მყავდა, მოვხვდი პირველ კლინიკურ საავადმყოფოში. მაშინ წამლების დეფიციტი იყო, ქალბატონმა იზა გველესიანმა არა მარტო მე, სხვა ავადმყოფებსაც მოუტანა მედიკამენტები. ჩემს სისარულს საზღვარი არ ქონდა. ის ახლაც ყოველთვის გვერდით მიდგას ჩემი შვილიშვილების მკურნალობაში“.

მანანა საბაბაძე: „ქალბატონი იზა გველესიანი ჩემი იმედია და სანამ ის ცოცხალია, მჯერა, რომ ჩემს ოჯახს საფრთხე არ მოელოს, გამომიყვანს მძიმე სიტუაციიდან, მომიცემს სწორ რჩევა-დარიგებას და დამხმარე-

რეჟიმის არსის გააშლავნება

პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფისა და სხვადასხვა სოლიდური ფოტოსააგენტოს ორი კორესპონდენტის დაპატიმრება სააკაშვილის მმართველობის „დამსარულე ბელ ბიჭად“ იქცა და, გარკვეულწილად, არანაკლები როლიც შეასრულა ხელისუფლების „ჩამოშლაში“, ვიდრე ყბადადებულმა „ციხის კადრებმა“ ან „აგვისტოს ომმა“.

თანაც, ეს საქმე ნიშანდობლივია არა მხოლოდ თანამდევის სისასტიკის, არამედ, რაც არანაკლებ არსებითია, უტიფრობის, ბოროტი ცბიერების, სიყალბისა და ტყუილის იმ „ჩანჩქერით“, რაც მას ახლდა თან. სიფლიდო და ტყუილი ყოველთვის განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევს. ხოლო როდესაც ხელისუფლებას ჰგონია, თითქოს საკმარისია ბრბო მოატყუოს, საზოგადოების ელემენტარული განსჯისუნარიანი ნაწილის აზრი და შეხედულება კი არაა დაგდოს, – ასეთი ხელისუფლება ადრე თუ გვიან აუცილებლად დაისჯება.

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ტყუილი და არაგულწრფელობა ამ საქმესთან დაკავშირებით არა მხოლოდ ხელისუფლებას ახასიათებდა, არამედ იმ ხალხსაც, ვინც მას თავისი პოლიტიკური თუ სხვა მიზნებით იყენებდა. ბოლომდე გულახდილები დღემდე არც თვით ფოტოგრაფები არიან, ანუ არც მათ უთქვამთ გულწრფელად, რამ აიძულათ ენ. „ალიარებითი ჩვენებით“ დაებრალეზინათ არჩადენილი დანაშაული: შპიონაჟი რუსეთის სპეცსამსახურთა სასარგებლოდ!

26 მაისის დარბევის შემდეგ მსოფლიო მოიარა შემადრწუნებელმა ფოტოებმა. ბუნებრივია, მიშაც და ვანოც ერთობ გაკვირვებულნი იქნებოდნენ, რადგან „სპეცდანს“ მტკიცე ბრძანება ჰქონდა, არ დაეშვა ფოტოგრაფირება. ამიტომ ფოტოგრაფებს იმ ღამით აპარატურას უმტვრევდნენ ან ართმევდნენ. ისე, რომ თითქმის ვერავინ შეძლო ადგილზე მუშაობა. გამონაკლისი იყო მხოლოდ ერთი პროფესიონალი – პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფი. იგი მოძრაობდა სპეცდანიშნულების რაზმებთან ერთად და, ბუნებრივია, მუშაობაში ხელს არავინ უშლიდა. შემდეგ მან ეს ფოტოები, კოლეგების მეშვეობით, სხვადასხვა ევროპულ და ამერიკულ სააგენტოში გაავრცელა.

გამოიძიებას, როგორც ჩანს, თავდაპირველად ასეთი ლოგიკა ჰქონდა: პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფი ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას; ფოტოები, რომელიც მან გადაიღო, არ ყოფილა განკუთვნილი მედიაში გავრცელებისთვის, ანუ მან ბოროტად (პირადი გამორჩენის მიზნით) გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა; ხოლო სხვა ორმა ფოტოგრაფმა მას დანაშაულებრივად შეუწყო ხელი, ესე იგი, იმით მხოლოდ თანამონაწილეობა ედებოდათ ბრალად. ამ ფორმალურ საფუძველს ემატებოდა მიზანს პიროვნული გაავრცელება. ჩვენი პრეზიდენტი ისედაც არ გამოირჩევა დიდი გულმონყალებით და ძნელი წარსმოსადგენი არ არის, როგორც „გააგვიყებდა“ ასეთი ფოტოების ხილვა მსოფლიო

მედიაში, სადაც „საქართველოს იმიჯზე“ ათეულობით მილიონს ხარჯავდა. მით უმეტეს, როცა შეიტყობდა, ვინ იყო ამ ფოტოების პირველწყარო.

მაგრამ აქ წარმოიშვა „სამხრეთი ნინალმდეგობა“ პრეზიდენტის პიროვნულ გაავრცელებას, ფორმალურ კანონს და პოლიტიკურ მიზანშეწონილობას შორის. ხელისუფლებას არაფრისდიდებით არ აწყობდა იმის თქმა და დაფიქსირება, რომ ფოტოგრაფებს მხოლოდ და მხოლოდ

შემთხვევაში გაავრცელებდა, თუ სხვა ბევრ რამესაც აღიარებდნენ. ასე უფრო „შეიფუთებოდა“ ეს ისტორია შპიონაჟის საქმედ. სხვაგვარად არ გამოვიდოდა. მაშინ უნდა გაესამართლებინათ დარბევის ამსახველი ფოტოებისთვის. ეს კი (ვიმეორებ) არამც და არამც არ აწყობდათ! თავის მხრივ, ფოტოგრაფებიც მიხვდნენ, რომ მათზე ზენოლის საშუალებად ხელისუფლება გამოიყენებდა არა ციხის ადმინისტრაციას, არამედ პატიმრებს,

რების მხილება კი, რომლებიც „არაპრესტიჟული“ ბრალდებით ციხეში მოხვედრილ ადამიანებს კამერაში აბუჩად იგდებენ – იმათ ახლობლებთან და ოჯახის წევრებთან დაპირისპირებას ნიშნავს, რაც ბევრად ძნელია და სარისკო. ამიტომაც ვერ გაიხსენებთ თუნდაც ერთ ამგვარ განცხადებას ციხეზე სპეციალიზებულ „უფლებადამცველთა ლეგიონის“ მხრიდან.

„ფოტოგრაფების საქმემ“ რეჟიმის არსი გამოაშლავნა. სააკაშვილმა ერთხელ თქვა: „ყოველთვის მინანია, როცა მომითმენია, მაგრამ არასდროს მინანია, როცა უკანდაუხედავად მიმოქმედიან“. ამ ერთ ფრაზაშია მთელი მისი ფსიქოლოგიური და მენტალური „კონსტიტუცია“. და ახლა კიდევ უკვირს, ალბათ, რაც მის თავს ხდება.

გავიხსენოთ, როგორ დააპატიმრეს ფოტოგრაფები: ყრუ ღამე სახლში შემოჭრილი „ჩეკისტები“ „მოთვარ ეჭვმიტანილთან“ ერთად (მისი დაშინებულობისა და დაშინების მიზნით) სრულიად უდანაშაულო მეუღლის დაპატიმრება, ანუ ორივე მშობლის „აყვანა“ და უმწეო ბავშვების უპატრონოდ დაყრა ბინაში მათ, როდესაც კარის მეზობლებს შიშით სადარბაზოში გამოხედვისაც ეშინიათ.

სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას: ასეთი საშინელება საქართველოში „აღმშენებელი ბერიას“ შემდეგ აღარ მომხდარა!!! კომუნისტებიც კი, ბოლო ათწლეულთა განმავლობაში, აღარ იყენებდნენ ესოდენ ბინძურ და არაადამიანურ მეთოდებს.

კარგი, დავუშვათ, პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფის მოქმედება არა მხოლოდ კორპორატიული ეთიკის დარღვევა იყო, არამედ, ფორმალური თვალსაზრისით, თუნდაც რაიმე უფრო მერი. დავუშვათ, იმ ფოტოებმა ქვეყანას მართლაც დააკარგინა რამდენიმე ათასი ტურისტი ან ინვესტორი. ნუთუ ამის გამო ღირდა ჩეკისტური დიქტატურის აშშ-ში გაშვებული მძორის საფლავიდან წამოყვანა?!! რა ისეთ ღირებულებას შექმნიდა ქვეყნისთვის ან ის ტურისტი ან ის ინვესტორი, რაც ამ მძორის სიმყრალეს გააქარვებდა?

აი, ეს რომ არ ესმოდათ ამ ჩვენს „თვლებანთებულ“, საკუთარ „ისტორიულ სიმართლემში“ ბრიყვულად დარწმუნებულ, თავდაჯერებულ, „გამკეთებელ“ და „რევოლუციურ“ ახალგაზრდებს, ამგვარი მენტალობა რომ ჰქონდათ და დღესაც კი, ფროიდისეული წამოცდენით პირსისხლიან ნაძირალა ბერიას „აღმშენებელს“ უწოდებენ (ანუ მასთან მენტალურ ნათესაობას ადასტურებენ უნებურად), იმიტომაც დაამთავრეს ისე, როგორც დაამთავრეს! და ამიტომაც იქცნენ მათ მიერვე შობილი იმ ურჩხულის მსხვერპლად, რომელიც გლდანის ციხეში ადამიანებს ცოცხით აუპატიურებდა თავისი ბინძური ვნებების დასაკმაყოფილებლად.

მიხეილ განაძე, X0-008-060

„ფოტოგრაფების საქმე“ – ორი წლის უპედა



ლოდ 26 მაისის მასალებისთვის სჯიდნენ. საქმე რომ სასამართლომდე მისულიყო, მათ სწორედ ამ მუხლით გაასამართლებდნენ. თანაც დახურულ პროცესზე. მაგრამ ყოველნაირად ეცდებოდნენ, საქმე სასამართლომდე არ მიეყვანათ და ფოტოგრაფები აეძულებინათ, მოეყოლათ ათასი ტყუილი „რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის“, „ერგენეთის ბაზრობაზე დავებოვკების“, „საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტოკოლურ ფოტოებზე ზესაიდუმლო კომენტარების“ შესახებ.

როგორ და რით „დაარწმუნეს“ ფოტოგრაფები ეკისრათ ისეთი რამ, რაც არ ჩაუდგინიათ? ყველა მათგანი აღიარებდა „26 მაისის ისტორიას“. მაგრამ, როდესაც მათთან მიდიოდა თითქოს გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან გადმოსული, წინასწარ დაგეგმილი და „ინსტრუქტირებული“ გამოძიებელი, იგი ფოტოგრაფებს ეუბნებოდა, რომ „26 მაისის“ აღიარება საკმარისი არ იყო, ხოლო პროცესუალურ შეთანხმებას ადვილად უნდა მიეცათ მათთან მხოლოდ იმ


რომლებსაც ერთი სული აქვთ ხელთ იგდონ „არაპოპულარული“ და „არაპრესტიჟული“ მუხლებით ბრალდებული ადამიანები, რათა დაამცირონ კამერაში, ანაწონ და სიცოცხლე ჯოჯოხეთად უქციონ. იმასაც მიხვდნენ საბრალო ფოტოგრაფები, რომ ამ ტანჯვა-წამებისაგან მათ არავინ დაიცავდა: ჩვენი სასიქადულო უფლებადამცველები ხშირად, ამაყი ყელმოღერებით აკეთებენ განცხადებებს ციხის ადმინისტრაციის მხრიდან პატიმართა უფლებების დარღვევის შესახებ, მაგრამ ერთხელ თუ გახსოვთ (თუნდაც ერთი შემთხვევა გაიხსენეთ!) ოდესმე ეთქვათ, რომ ადამიანი არა ადმინისტრაციამ, არამედ სხვა პატიმრებმა დაამცირეს, სცემეს და აწამეს კამერაში? არადა, სწორედ ამ „სხვა პატიმრებს“ იყენებს ადმინისტრაცია გაჯიუტებულ ეჭვმიტანილთა „გასახლება“.

თუმცა, ასეთ განცხადებებს ჩვენი მჭევრმეტყველი უფლებადამცველებისა და „ენჯელოშნიკების“ მხრიდან ვერ გაიხსენებთ. იმიტომ, რომ ციხის ადმინისტრაციის კრიტიკა ადვილია, აი, სხვა პატიმ-

წვევლია

დაპით ბაქრაძე და სამი ყყახკეტერი

რბ მძნა, რა ჩემი ბრალია, თუ ამ დღეებში ბეთჰოვენის ცნობილი საბავშვო სიმღერის „ზაზუნას“ გარდაქმნა ამეგვიტა. „შემოვიარეთ საქართველო, მე და ამ სამამა ერთად, მზადა ვართ ნაცმო გავართულოთ – მე და ეს სამი ერთად...“ „მე“ ამ შემთხვევაში დავითი გახლავთ, ბაქრაძე, იმ ქართველი გმირის სრული სენია (ერთ ციტატას გაგახსენებთ – „ხელაღებით მტერს ურტყამდა დიდი დავით ქართველი“); ეს სამი კი, უკვე მოგესხენებათ, – გია ბარამიძე, შოთა მალაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე (ალფაბეტის რიგზე).



ესეც მოგეხსენებათ, უაზრობას ნიშნავს „ყყახკეტერი“ აქედან შეითხზა...)

პრეზიდენტობის კანდიდატს როცა შეჰყურებ და უსმენ, ბევრ რამეს აქვეყნობდა და ფიქრებიც ირევიან, „როგორც ბუდეში მტრედის ხუნდები“. გმირი პარტიზანი დავით ბაქრაძე თუ მტერს ხელაღებით ურტყამდა, პატარა დავითი (ბაქრაძე) მტერზე დასარტყმელად საფურშეტე დანაწანგლის ადებისკენ მოგვიწოდებდა... არც ის მომეწონა, რომ ასეთ ვითარებაში მისთვის არსებითი ცნება „პრაიმერიზი“ სწორად არ სცოდნია და „პრაიმერიო“, ამბობს (ისევე როგორც არაერთი ტელეჟურნალისტი თუ „პროცო“ ჟურნალისტი...); ისიც არ სცოდნია, რომ მრავლობით „დებატებს“ მხოლოდითი რიცხვი არა აქვს და „დებატი“ უაზრობაა (ყყახ); აქვე სათქმელად, როგორც არა აქვს მხოლოდითი ქართულ სიტყვას „არდადეგები“ (იცოდეს ყოველი შემთხვევისთვის, „არდადეგის“ რომ არ წამოსცდეს...).

დანარჩენ სამ „ნაცპრაიმერიზისტზე“, აბა, რა გითხრათ – მაგათ „ყყახკეტერობაც ეყოფათ... ბარდია ბაღდატი

საქმე №2/9258-13

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საჯარო შეტყობინების შესახებ

08.07.2013

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლო
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ანჟელი ხუროძე

განმცხადებელი: გიორგი ტეტელაშვილი
მოთხოვნის არსი: თამასუქის ძალადაკარგულად გამოცხადება
სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა ადგილობრივ გაზეთში საჯარო შეტყობინების გამოქვეყნების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მომართა გიორგი ტეტელაშვილმა და მოითხოვა თამასუქის ძალადაკარგულად გამოცხადება და მასზე უფლების აღდგენა.

განცხადებაში აღნიშნულია შემდეგი: 2013 წლის 25 მარტს გიორგი ტეტელაშვილის მიერ შეტანილ თანხაზე – 3000 დოლარზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესი“ მიერ გაცემულ იქნა თამასუქი №016566. და 2013 წლის 18 ივნისს შეტანილ თანხაზე 51 000 აშშ დოლარზე გაცემულ იქნა თამასუქი №018618 განმცხადებლის განმარტებით, თამასუქი განადგურდა გაურკვეველ ვითარებაში. თამასუქის აღდგენის და შესაბამისი თანხის განაღდება/დაბრუნების მოთხოვნით წერილობით მიმართა თამასუქის გამცემ ორგანიზაციას, თუმცა 2013 წლის 20 ივნისის წერილით უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. განმცხადებელი ითხოვს თამასუქის ძალადაკარგულად გამოცხადებას და მასზე უფლების აღდგენას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 330-ე მუხლის თანახმად, დაკარგულ ან განადგურებულ საწარმდგენლო ფასიან ქალაქსა და საორდერო ფასიან ქალაქს უფლების აღდგენის შესახებ განცხადების მიღების შემდეგ მოსამართლე გამოიტანს განჩინებას განმცხადებლის ხარჯზე ადგილობრივ პრესაში პუბლიკაციის შესახებ.

სსსკ-ის 331-ე მუხლის თანახმად, პუბლიკაცია უნდა შეიცავდეს:

- ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომელშიც შეტანილია განცხადება საბუთის დაკარგვის შესახებ;
- ბ) განმცხადებლის დასახელებასა და მის საცხოვრებელ ადგილს;
- გ) საბუთის დასახელებასა და განმასხვავებელ ნიშნებს;
- დ) წინადადებას იმ საბუთის ხელთმქონის მიმართ, რომლის დაკარგვის შესახებაც შეტანილია განცხადება, რომ მან პუბლიკაციის დღიდან სამი თვის განმავლობაში შეიტანოს განცხადება სასამართლოში ამ საბუთზე თავისი უფლების შესახებ.

სსსკ-ის 332-ე მუხლის თანახმად, იმ საბუთის ხელთმქონე, რომლის დაკარგვის შესახებაც განცხადებულია, ვალდებულია პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლამდე განჩინების გამომტან სასამართლოში შეიტანოს განცხადება საბუთზე თავისი უფლების შესახებ და ამასთან ერთად წარადგინოს საბუთის დედანიც.

სსსკ-ის 333-ე მუხლის თანახმად, თუ საბუთის ხელთმქონემ პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლამდე შეიტანა სასამართლოში განცხადება, სასამართლო განცხადებას საბუთის დაკარგვის შესახებ სასამართლო განუხილველად დატოვებს და დაადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც საბუთის გამცემ დაწესებულებას (პირს) აუკრძალავს აწარმოოს ამ საბუთით გადახდა და გაცემა. ეს ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 თვეს. იმავდროულად სასამართლო განუმარტავს განმცხადებელს მის უფლებას აღძრას სარჩელი საბუთის გამოთხოვის შესახებ საერთო წესით იმ პირის მიმართ, ვისაც ხელთა აქვს საბუთი, ხოლო ამ უკანასკნელს - მის უფლებას გადაახდევინოს განმცხადებელს ზარალი, რაც გამოწვეულია აკრძალვის ღონისძიებით. სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

სსსკ-ის 334-ე მუხლის თანახმად, საქმეს დაკარგული საბუთების ბათილად ცნობის შესახებ სასამართლო განიხილავს პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლის შემდეგ, თუ საბუთის ხელთმქონისაგან არ შემოვიდა 332-ე მუხლში მითითებული განცხადება.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 330-334-ე, 284-ე, 285-ე, 414-ე მუხლებით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა :

1. გამოქვეყნდეს საჯარო შეტყობინება (ცნობა), შემდეგი სახით:

1.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის (მოსამართლე ანჟელი ხუროძის) წარმოებაშია №2/9258-13 სამოქალაქო საქმე, გიორგი ტეტელაშვილის განცხადებისა გამო, თამასუქის ძალადაკარგულად გამოცხადებისა და მასზე უფლების აღდგენის თაობაზე.

1.2. განმცხადებელია – გიორგი ტეტელაშვილი, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, აკ.წერეთლის №63, კორპ.1.

1.3. დაკარგულია ფასიანი ქალაქი – თამასუქი, რომლის ნიშნებია:

- 1. ნომერი 016566;
- 2. თამასუქის გამცემი კისრულობს უპირობო ვალდებულებას თამასუქის მიმღებ პირს გადაუხადოს ფულადი თანხა ქვემოთ მითითებული ოდენობითა და პირობებით:
 - ფულადი თანხა – 3000 აშშ დოლარი;
 - დარიცხული წლიური პროცენტი 13 (ცამეტი);
 - გადახდის ვადა – 25 მარტი 2014;
 - გადახდის ადგილი – ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №68/70;
 - თამასუქის გამცემი/გადახდელი – მისო შპს „რიკო ექსპრესი“;
 - თამასუქის მიმღები – გიორგი ტეტელაშვილი (პ.ფ. 01030019268);

3. თამასუქის შედგენის ადგილი – ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №68/70;

4. თამასუქის შედგენის თარიღი – 25 მარტი 2013წ.;

5. თამასუქის გამცემის ხელმოწერა – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

- 1. ნომერი 018618;
- 2. თამასუქის გამცემი კისრულობს უპირობო ვალდებულებას თამასუქის მიმღებ პირს გადაუხადოს ფულადი თანხა ქვემოთ მითითებული ოდენობითა და პირობებით:
 - ფულადი თანხა – 51000 აშშ დოლარი;
 - დარიცხული წლიური პროცენტი 12 (თორმეტი);
 - გადახდის ვადა – 18 ივნისი 2014;
 - გადახდის ადგილი – ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №68/70;
 - თამასუქის გამცემი/გადახდელი – მისო შპს „რიკო ექსპრესი“;
 - თამასუქის მიმღები – გიორგი ტეტელაშვილი (პ.ფ. 01030019268);

3. თამასუქის შედგენის ადგილი – ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №68/70;

4. თამასუქის შედგენის თარიღი – 18 ივნისი 2013წ.;

5. თამასუქის გამცემის ხელმოწერა – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

1.4. იმ საბუთის ხელთმქონე, რომლის დაკარგვის შესახებაც განცხადებულია, ვალდებულია პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლამდე განჩინების გამომტან სასამართლოში შეიტანოს განცხადება საბუთზე თავისი უფლების შესახებ და ამასთან ერთად წარადგინოს საბუთის დედანიც.

2. თუ საბუთის ხელთმქონემ პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლამდე შეიტანა სასამართლოში განცხადება, სასამართლო განცხადებას საბუთის დაკარგვის შესახებ სასამართლო განუხილველად დატოვებს და დაადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც საბუთის გამცემ დაწესებულებას (პირს) აუკრძალავს აწარმოოს ამ საბუთით გადახდა და გაცემა. ეს ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 თვეს. იმავდროულად სასამართლო განუმარტავს განმცხადებელს მის უფლებას აღძრას სარჩელი საბუთის გამოთხოვის შესახებ საერთო წესით იმ პირის მიმართ, ვისაც ხელთა აქვს საბუთი, ხოლო ამ უკანასკნელს - მის უფლებას გადაახდევინოს განმცხადებელს ზარალი, რაც გამოწვეულია აკრძალვის ღონისძიებით.

3. საქმეს დაკარგული საბუთების ბათილად ცნობის შესახებ სასამართლო განიხილავს პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლის შემდეგ, თუ საბუთის ხელთმქონისაგან არ შემოვიდა 332-ე მუხლში მითითებული განცხადება.


4. საჯარო შეტყობინება (ცნობა) გამოქვეყნდეს ადგილობრივ გაზეთში.

5. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

მოსამართლე:

ანჟელი ხუროძე

დედაინის ზურგზე



დედაინა „უხსოვლანებელის“ თვალთ: „ნასას“ აპარატურა საბურთისა და მერკურის ორბიტისა გაღივან ფოტოზე

ყველა სურათი გადაღებული იქნა ერთსა და იმავე დღეს – 19 ივლისს. მათი ნაწილი მიიღეს აპარატ „კასინისაგან“ დედაინიდან 1,4 მილიარდი კილომეტრის დაშორებით, ნაწილი კი – ავტონომიურ სადგურ „მესინჯერისგან“ 98 მილიონი კილომეტრის დაშორებით. „ფოტოსესიის“ დღეს ასტრონომებმა მოუწოდეს დედაინის გადამინების გადამინების ქუჩაში და ხელები დაიქნინონ კოსმოსის მხარეს.

კანტაგონა ნარაღინა სირიაზე ღარბუის გეგმა და გეგმაფრთხილა. რომ ქველი იქნება ღრმა ჩარხის თაქიდან ახილვა


ს ა ვ ა რ ა უ დ ო ხარჯები – თითო მილიარდი დოლარი ყოველთვიურად წელიწადის განმავლობაში, მაგრამ კიდევ მეტი იქნება საჭირო, თუ დადგება ამოცანა, კონტროლზე ავიყვანოთ ქიმიური იარაღის არსენალი. ამ დროს ასპროცენტიან შედეგს ეს ზომა არ მოგვითმის, მაგრამ მასთან უსათუოდ განხილვა სერიოზული რისკებიც, განცხადდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალების შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელმა მარტინ დემსიმ.

ღანიამ ავღანეთიდან თაქისი სამხედრო ნაწილები გააოიყვანა



უკანასკნელმა კონტინენტმა, რომლის შემადგენლობაშიც იყო 250 მოტოქვეითი ასეული სჯარისკაცი და 90 მანქანა, დატოვა ბაზა კემბრაისი ჰილმენდის პროვინციაში, მაგრამ დაახლოებით 300 დანიელი სამხედრო მინც დარჩება ავღანეთში, რათა მოაზადონ ადგილობრივი პოლიციური ძალები და მოემსახურონ სპეციალურ ქვედანყოფებსა და ტანკებს.

ბაქარში. სარას მისა უნდა შეასრულოს რომის პაპმა, ბოგბი გააუწვანოს



უცნობმა იგი ტაძრის კომპლექსის სავტომობილო სადგომის ტუალეტში დატოვა ქალაქ აპარესიში. იქ 24 ივლისს გაიმართება დეტისმსახურება რომის პაპის ფრანცისკის მონაწილეობით, რომელიც ამჟამად ბრაზილიაში იმყოფება აპოსტოლური და სახელმწიფო ვიზიტით.

ჩინოვანი თავისუფალი და მატერიალურად უზრუნველყოფილი სალომე დიდებულ დროს ატარებდა პეტერბურგ-პეტროგრადში. ახლოს იცნობდა მრავალ პოეტს, მწერალს, მხატვარსა და მსახიობს. მოგვიანებით იმ დროს ვერცხლის საუკუნე უწოდეს. სალომე ვერცხლის საუკუნის მუზა იყო. მას ლექსები უძღვნა ოსიპ მანდელშტამმა, რომელმაც – 1911 წელს იხილა იგი ყირიმში, კოკეტებელში. 1916 წლის შემოდგომა-ზამთარში დაწერილი ეს ლექსები შევიდა მის კრებულში „Tristia“. აი, ამონარიდი ერთი მათგანიდან „Соломинка“:

Когда, соломинка, не спишь
в огромной спальне
и ждешь, бессонная, чтоб, важен и высок,
Спокойной тяжестью – что может
быть печальней,
На веки чуткие спустился потолок,
соломка звонкая, соломинка сухая,
Всю смерть ты выпила и сделала нежней,
Сломалась милая соломка неживая,
не Саломея, нет, соломинка скорей!..

მისი სახე ტილოზე უკვდავყვეს კუმბა პეტროვ-ვოდკინმა და ზინაიდა სერენბრაიკოვამ, ვასილ შუხაევმა და საველი სორინმა. პოპულარული მწერალი ქალი ნ. ტუფი 1913 წელს წერდა: „საღამოს მშვენიერა, როგორც ყოველთვის, იყო სალომე ანდრონიკაშვილი, – არც მწერალი, არც პოეტი, არც აქტრისა, არც ბალერონა, არც მომღერალი, მაგრამ იგი ჩვენს წრეში აღიარებული იყო ყველაზე საინტერესო ქალად“.

სალომე მართლაც საინტერესო ადამიანი იყო. მოულოდნელი საქციელით მთელ ქალაქს აალაპარაკებდა ხოლმე. თუნდაც აერობლანთი მისი გაფრენები რად ღირს. მან როგორღაც დაითანხმა ნაცნობი მფრინავი და ქალთა შორის პირველმა შემოუფრინა პეტროგრადს.

ივორ ობოლენსკი წიგნში „მედი სილამა-ზისა“ წერს: „ანდრონიკაშვილის ყურადღებას ეძიებდნენ, მასთან მეგობრობას უფროსილდებოდნენ, სიყვარულზე ოცნებასაც კი ვერ შედეგდნენ. არ იყო მხატვარი, რომელიც მისი პორტრეტის დახატვას არ ლამობდა. ანა ახმატოვაჰ ჩიგნი აჩუქა წარწერით „მეგობრობის იმედი“...“

მალე რუსეთის იმპერიას რევოლუცია, სამოქალაქო ომი, ნგრევა და სიკვდილი დაატყდა თავს. პეტროგრადში ყოფნა სახიფათო გახდა და 1917 წლის ზაფხულში მეგობარმა პოეტმა სერგეი რაფალოვიჩმა ქალიშვილთან ერთად ყირიმში, ალუშტაში ჩაიყვანა. მან ჯერ არ იყო და, რომ იგი სამუდამოდ გამოემშვიდობა პეტროგრადს, თავის მშვენიერ ბინას და საყვარელ ნივთებს, რომლებსაც მერე ვილაყები დაეპატრონებოდნენ, რომ ამ გამგზავრებამ იგი გადაარჩინა.

მასზე თავდავიწყებით შეყვარებულმა ადვოკატმა, ლიბნარმა, მასთან, დროებითი მთავრობის საქმეთა მმართველმა, კერენსკის უახლოესმა მეგობარმა ალექსანდრე გალპერინმა ალუშტაში წერილი გაუგზავნა, ემუდარებოდა მშიერ და საშიშ პეტროგრადში არ დაბრუნდე, საქართველოში წადი მშობლებთან. სალომემ გონივრული რჩევა ისმინა და ქალიშვილთან ერთად თბილისს გაემგზავნა, მაქოს მოვლით.

გზად სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა. ისტორიკოსი ალექსანდრე ოზუხოვი გვამცნობს, რომ ხარკოვში გამოვლისას ბოლშევიკებმა დააპატიმრეს. საშიშროება რეალური იყო, ჩითლებს არისტოკრატები გამოწვეული არ უყვარდათ. როგორ გგონიათ, ვინ იხსნა სალომე დახვედრისგან? ზინაიდა პეშკოვმა, იმ დროს უკვე საფრანგეთის მშვენიერა და დიპლომატმა! მან როგორღაც შეიტყო სალომეს თავს დამტყდარი საფრთხე და მამობილს – მაქსიმ გორუკის მისწერა: „მამა! დაურეკე ლენინს, ტროცკის, თუნდაც ვარლ მარქსს, მაგრამ ხარკოვის ციხიდან იხსენი სალომე ანდრონიკოვა“.

სალომე უმალ გაათავისუფლეს. რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. თბილისში საფრანგეთის წარმომადგენლობის ჯგუფის წევრად ჩამოვიდა საფრანგეთის უმაღლესი კომისიის კონსულტანტი მაიორი ზინაიდა პეშკოვოვი. გამჭრიახმა მშვენიერმა ადლო აულო, რომ წითელი რუსეთის საქართველოზე ხელს არ აიღებდა და შეიძლება აქაც დატრიალებულიყო წითელი ქალის, ამიტომ სალომეს უჩიჩინებდა, საფრანგეთში წადიო. ქალმა დაუტყრა და ბათუმი-

დან საფრანგეთის სამხედრო გემს გაჰყვა. მანამდე კი ზინაიდა დახმარებით ბათუმიდან გაქცევაში დაეხმარა მხატვრებს სერგეი სულდვიკინს და საველი სორინს.

სალომე 1920 წლიდან ცხოვრობდა პარიზში, სადაც მთელმა ემიგრანტულმა ელიტამ მო-



სალომე. კუმბა პეტროვ-ვოდკინის ნახატი

თად მხოლოდ სალომე წავიდა ამერიკაში. ირინა, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრი, შემდეგში ბარონესა ნოლდე, პარიზში დარჩა. იგი ფაშისტებმა დააპატიმრეს როგორც წინააღმდეგობის წევრი და საკონცენტრაციო ბანაკში ძლივს გადაურჩა სიკვდილს.



ზინაიდა პეშკოვა

„ვერცხლის საუკუნის“ მუზა და დედოფალი



სალომე ქალიშვილთან ირინასთან ერთად

იყარა თავი. პოეტი გიორგი ივანოვი 1923 წელს გულდაწყვეტილი წერდა: Январский ветер, на берегу Невы Несется ветер, разрушьемъ вѣя Где Олечка Судейкина, увы Ахматова, Палада, Саломея? Все, кто блистал в тринадцатом году, – Лишь призраки на петербургском льду.

1926 წელს სალომე ცოლად გაჰყვა ძველისძველ თავყანისმცემელს – ადვოკატ ა. გალპერინს, რომელმაც სასწაულებრივად დააღწია თავი ჯერ პატიმრობას და შემდეგ წითელ სამშობლოს.

სალომე პარიზში არ დაკარგულა. ქმრის დიპლომატიურმა სამსახურმა მიზნესმენთა და არისტოკრატთა სახლის კარები გაუღო. თახხური ცხოვრება ხელს არ უშლიდა ზინაიდას მიმოწერაში. ცალკეულ მშვენიერ დიპლომატიურ სამსახურში ხან მარიაშვილი იყო, ხან – ლიბანში, ხან – ჩინეთსა და იაპონიაში. მეორე მსოფლიო ომის დროს მსახურობდა გენერალ დე გოლის შტაბში, რომელსაც ჯერ კიდევ ლეიტენანტს იცნობდა პირველი მსოფლიო ომის დროიდან. 1943 წელს მრიგაღის გენერლობა მიიღო. 1950 წელს თადარიგში გავიდა კორპუსის გენერლის წოდებით. გარდაიცვალა 1966 წელს.

პარიზში სალომე გაიცნო და დაუმეგობრდა პოეტ მარინე ცვეტაევის. სწორედ ქართველმა ქალბატონმა იხსნა დიდი რუსი პოეტი სილატაისგან, იმ 1000 ფრანკიდან, რასაც სალომე მოდების ჟურნალში იღებდა, 200-ს მარინა ცვეტაევის აძლევდა, უგზავნიდა ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს. ამას გარდა მისთვის ფულს აგროვებდა რუს ემიგრანტთა შორის. მათი მეგობრობა მხოლოდ ცვეტაევის საბჭოთა რუსეთში დაბრუნების შემდეგ შეწყდა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გამჭრიახმა გალპერინმა სალომეს და მის ქალიშვილს ცეცხლმოკიდებული ვეროპიდან გამგზავრება ურჩია. მასთან ერთ-

1945 წელს გალპერინმა დანიშნა მიილო ლონდონში და ოჯახით ინგლისში დაფუძნდა. დიდებული ბინა შეიძინა ჩელსში პარკ გარდენსზე. როცა სიცოცხლის ბოლოს ალექსანდრემ თავი მანკოტად გამოაცხადა და იძულებული გახდა სახლი გაეყიდა, მიიღველთან პირობა დათქვა, რომ სალომეს შეეძლო სიკვდილამდე ეცხოვრა თავის ბინაში.

ლონდონში სალომე აგრძელებდა არისტოკრატულ ცხოვრებას; იღებდა სტუმრებს, დღეში რამდენჯერმე იცვლიდა კაბას, თუნდაც სრულიად მარტო ყოფილიყო. მის მეგობრებს შორის იყვნენ ინგლისის პრემიერ-მინისტრ უინსტონ ჩერჩილის მეუღლე კლემენტინა, მსახიობი პიტერ უსტინოვი, უახლოეს მესაიდუმლოდ კი მაქსიმ გორუკის მუზა და ყოფილი ცოლი ბარონესა მუდგენკე ჰყავდა: სეირნობდა ბენძენი მილიანდერის არისტოტელე ონასისის იახტით.

1950-იანი წლების ბოლოს შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ნათესავებთან დაკავშირება. სალომე და მისი და მარიაში 60-იან წლებში შეხვდნენ ერთმანეთს. მარიაში საფრანგეთში ჩასვლაში დაეხმარა ძმის იასეს გაუი ონსტანტინე, რომელიც დედასთან ერთად 1916 წლიდან ცხოვრობდა პარიზში.

დებმა სატალინის სიკვდილის შემდეგ შეიტყვეს იასეს ტრაგიკული სიკვდილის ამბავი. 30-იან წლებში სალომემ ერთ ნაცნობს, რომელიც მოსკოვში მიდიოდა, ძმასთან წერილი გაატანა. წერილი ჩუკას ხელში მოხვდა. ეს საკმარისი აღმოჩნდა იასეს ჯაშუშობაში და სადანაშაულებლად და დასახვერებად.

მისმა ვაჟმა კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა (საფრანგეთში მას ანდრონიკოვად იცნობდნენ) სორბონის უნივერსიტეტი დაამთავრა და თარჯიმანდ მუშაობდა (მრწავივალე მორუსული იყო, ქართული კი არ იცოდა) საფრანგეთის სამ პრეზიდენტთან. 1967 წელს სსრ კავშირში მარლ დე გოლს ჩამოყვა, 1973 წელს საფ-

რანგეთში პრეზიდენტ პომპიდუსთან ჩასულ მრეწველს შეხვდა. შემდეგ კი პრეზიდენტ უსკარ დესტენის აპარატში მსახურობდა. სწორედ კონსტანტინეს საშუალებით ჰქონდათ კავშირი სალომესთან თბილისელ ნათესავებს.

სიცოცხლის მიმწუხნს სალომე კულინარიამ გაიტაცა, რეცეპტების წიგნიც კი გამოსცა, სადაც საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი „ჩახობილს“. მთელი ცხოვრება ვფიქრობდი, რომ მუზა ვიყავი, სიბერეში კი მივხვდი, რომ მზარეული ვყოფილვარო, ხუმრობდა.

ხომ ასეთი თითქოს გარუსებულ-გაფრანგებულ-გაინგლისელებული იყო, სულის სიღრმეში ყოველთვის ქართველად რჩებოდა, უყვარდა, ენატრებოდა სამშობლო, სინანულით ამბობდა, ცხოვრებაში ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა საქართველოდან წამოსვლა იყო, სისულელე გავაკეთე, რომ სამშობლო დავტოვე ისეთ რთულ დროსო.

მან ყველაზე მეტ ხანს იცოცხლა: მარიაში, პეშკოვზე, გალპერინზე, ფრეილინა ანა ვინუბოვაზე (რომელმაც რევოლუციური რუსეთიდან გამოასწრო და ფინეთში მონაზვნად აღკვეცილი 80 წლისა აღესრულა), ახმატოვაზე, ცვეტაევაზე...

კატეგორიული უარი თქვა მემუარების დაწერაზე. თავისი ცხოვრების შესახებ მხოლოდ ცოტა რამ გვიამბო პაპუნა წერეთლისადმი მიწერილ წერილებში:

„რა თქმა უნდა ვიცნობდი ტიციან ტაბიძეს და პაოლო იამვილს, მათი მრავალი ჩანაწერი მქონდა ალბომში, რომელიც ომის დროს დაიწვა, რადგან იმ სახლს, სადაც ახლაც ვცხოვრობ,

ბომბი მოხვდა. იმავე კარადაში დაიღუპა სამი ალბომი – ლუკომსკის პეტერბურგის დროინდელი შესანიშნავი აკვარელეები. მრავალ ქართველ მხატვარსა და მწერალს, ვისაც თქვენ მისახელებთ, არ ვიცნობდი. არ დაგავიწყდეთ, რომ ვცხოვრობ ლონდონში, სადაც პარიზისგან განსხვავებით, რუსეთიდან ემიგრანტები ცოტანი არიან. ლონდონში რუსულ, მით უფრო ქართულ ფილმებს იშვიათად უჩვენებენ. მიუხედავად ამისა ვნახე, ორჯერაც კი, ფილმი „ფიროსმანიშვილი“, ვნახე, დიდი აღფრთოვანებით, ქართველი მოცეკვავეები. მხატვარ გუდიაშვილს პარიზიდან ვიცნობ (იგი იცნობდა გრიგოლ რობაქიძესაც, რომელმაც მას ლექსი „ოფორტი“ უძღვნა – ა. ა.).

მე არ მინდა ჩემს სურათებსა და წიგნებთან დაშორება სიკვდილამდე. სიკვდილი კი შონს არაა, უკვე 90 წლისა ვარ. მინდოდა უსასრულოდ მეცხოვრა, მაგრამ ეს მუნებთ შეუძლებელია.

არავინ არ იტყვებს ჩემს ასაკს. ამბობენ, რომ მშვენიერი ფიგურა მაქვს, რომ ლამაზი ვარ. რა სასწაულია, გამოვიყურებო, როგორც 70 წლისა. ყველაფერი შემოძლია, ყველაფერს ვჭამ, ყველაფერს ვსვამ და 100 წლამდე ვაპირებ სიცოცხლეს.

მაგრამ სიკვდილი მაინც ცხრა მთას იქით როდია, მე დავიდალე და საჭიროა დამთავრება“.

ბოლო ხანს მძიმედ ავადმყოფობდა. ჩემი სიბერის ტრაგედია სურვილისა და შესაძლებლობის შეუთავსებლობაშიაო, ხუმრობდა. ყველაფერი, რაც გააჩნდა, ქალიშვილს ირინას დაუტოვა, ხოლო სურნარიაკოვას დახატული თავისი სურათი, რომელიც ძალიან უყვარდა, საქართველოს ლეონიდის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმს უანდრდა. ამავე მუზეუმისთვის შეიგულა თავისი ხელების ტვიფრი, ერთ დროს პროფესორმა გინზბურგმა რომ ჩამოასხა პეტერბურგში. სულ ხუთი სხმული ყოფილა. ერთ-ერთი სალომეს კუთვნილუმა იყო. ის სერგეი რაფალოვის ჰქონდა, მისი სიკვდილის შემდეგ რაფალოვის მცირე ცოლმა, სალომეს ახლო მეგობარმა მელიტა ჩოლოყაშვილმა გადასცა სალომეს.

1982 წლის მაისში გაზეთი „თაიში“ იუწყებოდა: „მ მაისს ლონდონში 94 წლისა გარდაიცვალა სალომე ნიკოლოზის ასული ანდრონიკოვა, მრწავივალე ქალთაგან უკანასკნელი, ვისაც მოუწია რუსული პოეზიის ვერცხლის საუკუნის გაფურჩქვნის თანამედროვე ყოფილიყო. სალომე ანდრონიკოვა იმ ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მზეთუნახავი იყო“...

სალომეს გიორგი ლეონიდის ნატო ვანაძისადმი მიძღვნილი სტრიქონებით მინდა გამოვეთხოვო: „თუმცა ჩამქრალი შენ ხარ ვარსკვლავი, მარად ინათებს შენი მშვენიერა, შენგან შევიტყვე, რომ სილაბაზე, არ უწერია გადაშენება“...

ალექს ახლანიშვილი.

❶ ძიუდო

ლეონიძე — გერმანულ კპარცსლბიკში



სუფთად დამარცხდა და რეგულარულად გადართო, სადაც ფრანგ დუნია ბერაიელს ორი ვაზართი აჯობა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

გერმანულ ტატიამზე კიდევ ორი ქართველი ძიუდოისტი ცდიდა ძალებს — შორენა შარაძე (63 კგ) და ნინო ოქელაშვილი (70 კგ).

გერმანულ ტატიამზე კიდევ ორი ქართველი ძიუდოისტი ცდიდა ძალებს — შორენა შარაძე (63 კგ) და ნინო ოქელაშვილი (70 კგ).

❷ ჭადრაკი

ქართული დასახელები ბელგრადში

სირბილის დედაქალაქში იწყება ევროპის მოჭადრაკე ქალთა XIV ინდივიდუალური ჩემპიონატი, რომელშიც საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი.

საქართველოდან ჩემპიონატში, გარდა ძაგნიძისა, იასპარეზებენ: ბელა ხოტენაშვილი (2512), ლელა ჯავახიშვილი (2465), ნინო ხურციძე (2443), სალომე მელოია (2428), სოფიკო გურამიშვილი (2421), ნინო ბაციაშვილი (2405), მაია ლომინიშვილი (2351), მაკა ფურცელაძე (2349), სოფიო გვეტაძე (2341), მერი არაბიძე (2320), მირანდა მიქაძე (2314), ანა გავაშელი (2170), სოფიო ნიკოლაძე (2163), მადონა ბოკუჩავა (2109).

ევროპის ჩემპიონატის საპრიზო ფონდია 60 000 ევრო. ჩემპიონი 10.500 ევროს მიიღებს, მეორეადგილოსანი — 8.250, მესამე ადგილზე გასული — 6.500 ევროს.

გივი გაბუა

❸ პლაჟის რაბაი

ფრანგული ბრინჯაო

ანბლემის (საფრანგეთი) ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით ითამაშა საქართველოს პლაჟის რაბაის ნაკრებმა (მურაზ გიორგაძე, სანდრო ჟღენტო, გიორგი ტალახაძე, რეზო ბროძელი, შავლეგ მახარაშვილი, ზურაბ ძნელაძე, გიორგი ფრუიძე, გიორგი აფციაური), რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა.



მთავარი მწვრთნელის — მამუკა ტყეშელაშვილის და მოძღვრობა ჩვენმა მორაგებებმა ასპარეზობის პირველ დღეს ოთხიდან სამი მატჩი მოიგეს — სასტარტო ორთაბრძოლა პორტუგალიის ნაკრებთან დათმეს 2:4, შემდეგ ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულ მასპინძელთა გუნდს 4:2 მოუგეს.


ლაზა დიდა

❹ კვალი საფეხურით მინდორზე

ძირითადი ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთი შემოქმედი, სპორტის ოსტატი ნიკო ცაგარეიშვილი გამორჩეული, საკუთრი ხელნერის მქონე გარემარბი გახლდათ.

„და, ალბათ, ამიტომაც მუდამ „კაპიტანობს“ ჩვენს შორის. წარმოიდგინეთ, ფეხბურთსაც ჩემზე უკეთ თამაშობდა ბავშვობაში.“

„დინამოს“ სტადიონთან სულ ახლოს ცხოვრობდნენ — ყოფილ კოოპერაციის ქუჩაზე, რომელიც ამჟამად შოთა იამანიძის სახელობისაა.



მეოთხე თამაში ხარკოვის „ლოკო-მოტივთან“ იყო. დიდი ანგარიშით 7:1 გავიმარჯვეთ.

თავისი მორიგი შეხვედრა ნიკო ცაგარეიშვილმა კიევის „დინამოს“ (0:0) წინააღმდეგ ჩაატარა — ამჯერად მარცხენა მცველად, იური გრამატიკოშვილის წინააღმდეგ გამოიყვანეს.

აგერ „გამოცდილი“ მეოთხე ნომერი, ჩვენი ნიკო უკა, ეს ამოკეტავს თუ ამოკეტავს „გრამატიკოს“.

დრიბლინგის დიდი ოსტატი

მრავალმხანველი თბილისელი მაყურებლის წინაშე „დინამოს“ მაისურით 1954 წელს პირველად გამოსვლა წერილის გამირსდგესაც სასიამოვნო, ამავე დროს ამაღლებველ გრძობის ჰგერის, თუმცა მოსაგონარი ბევრია და ჩვენც ვეცდებით, მოკლედ გავაცნოთ მკითხველს თავისი დროის ამ უაღრესად პოპულარული ფეხბურთელისა და შესანიშნავი ადამიანის საინტერესო სპორტული ცხოვრების გზა.

ინტელიგენტურ ოჯახში დაბადებული, დღესაც კლასიკური მუსიკისა და პოეზიის დიდი ტრფიალი გახლდათ.

ქირა ძმებს ზურგზე, მაგრამ ეს რა მოსტანია, როდესაც ასე ახლოს ხედავდნენ ტყავის ბურთის სახელგანთქმულ ოსტატებს — პაიჭაძეს, ჯუჯელავას, ლოლობერიძეს...

ბედმა ნიკო ისეთ ადამიანს შეახვედრა, რომელთან ურთიერთობამაც განაპირობა მისი სპორტული კარიერა — ეს გახლდათ ქართულ ფეხბურთში ცნობილი პიროვნება, თბილისის „დინამოს“ ყოფილი მწვრთნელი ასირ გალპერინი.

1953 წლის იანვრის ბოლოს იაკუშინმა დილის სანვრთელ ბაზაზე დინამოელები ორი შემადგენლობით ათამაშა ერთმანეთთან. მეტერთმეტეკლასელი ცაგარეიშვილი ნახევარმცველად დააყენეს და რეზო მახარაძის მეურვეობა დაადავალეს.



ლავთ. ზეპირად იცის ილია, აკაკი, ბარათაშვილი, გალაკტიონი, ტიციანი, პაოლო...

რევივილი ნახევარმცველად დააყენეს და რეზო მახარაძის მეურვეობა დაადავალეს. თან გააფრთხილეს: „რეზო სწრაფი ფეხბურთელია, ენერგიული, ფიზიკური ეხერხება... გასაქანი არ მისცე, ბურთი არ მოიღებინო!“ ნიკომ კარგად ჩაატარა დებიუტი „დინამოში“.

ეს კი ლენინგრადის „ზენიტთან“ მატჩის წინ იყო. მინანალმდე გის გუნდში მალაღინი, ტექნიკური გარემარბი თამაშობს, რადაც უნდა დაგიჯდეს, თამაშიდან უნდა გამოითქოს! — მიიღო მწვრთნელის დავალება ნიკომ. მეტოქეს მართლაც არ მისცა გასაქანი და თბილისელთა მეკარე ნოდარ ჭანტურისადაც მარცხნიდან არავითარი საშიშროება არ დაჰქურცა.

როგორც აღვნიშნე, „დინამოს“ მაისურით ნიკო თბილისელ გულშემოყრითა წინაშე პირველად 1954 წლის 8 აპრილს, 21 წლის ასაკში წარსდგა. ამას მოჰყვა 14 აპრილის მატჩი მოსკოვის „ტორპედოსთან“ — 2:1 გავიმარჯვეთ. თბილისელთა მარცხენა ფლანგზე კვლავ ნიკო ცაგარეიშვილი თამაშობდა. მესამე მატჩში, ცდსთან, ნიკომ ალიოშა კოტრიკაძე შეცვალა. ის შეხვედრა 1:1 დამთავრდა.

ეს მატჩი, აკი მწვრთნელმა „ნი“ დაუნერგეს. სამწუხაროდ, ეს იყო ნიკო ცაგარეიშვილის უკანასკნელი მატჩი თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში.

1955 წლის საფეხურით სეზონის დასაწყისში „დინამოში“ ანდრო კორდინა მოვიდა და ნიკო მისთვის გაუგებარი მიზეზით გუნდიდან დაითხოვეს. ამ დროს მან და დინამოელთა ნახევარმცველმა აჩიკო კილაძემ (მწვევა მიიღეს კიევის „დინამოდან“...)

გარკვეული დროის შემდეგ კიევიდან ჩამოსული ნიკო საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის გიორგი სისარულიძის მითითების შესაბამისად არსად მიიღეს. ფორმაში რომ ყოფილიყო, „დინამოს“ ბაზაზე გროშა გაგუას ბავშვებთან ერთად ვარჯიშობდა. მალე თბილისის „ლოკომოტივში“ ჩარიცხეს. 1957 წელს კი თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსელები ორი შემადგენლობით ათამაშა ერთმანეთთან.

ნიკო ცაგარეიშვილი გამოდიოდა „კალევიში“, ახალციხისა და ტყიბულის გუნდებში. „მეშახტეში“ თამაშისას საქართველოს თასი მოიპოვა. წერილის დასასრულს ნიკოს თანაკლასელის, „ლოკოტივის“ ფეხბურთელის მერაბ იაშვილის სიტყვები მსურს გავიხსენო: „როგორც ბორის პაიჭაძის თამაშის სანახავად დადიოდნენ გულშემოყრელები, ისე დადიოდნენ ნიკო ცაგარეიშვილის თამაშის სანახავად და ეს სულაც არ გახლავთ გადამტყებელი შედარება. იგი თავისი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენა გარემარბი გახლდათ...“



გივი ნოდარ, ნიკო ცაგარეიშვილი, ნოდარ ახალკაცი

❺ ფეხბურთი

მოკლედ

მკროპის ქალთა ჩემპიონატი. შვედეთი. მეოთხედფინალი. შვედეთი — ისლანდია 4:0, გერმანია — იტალია 1:0, ნორვეგია — ესპანეთი 3:1, დანია — საფრანგეთი 1:1 (პენალტებით — 4:2).

ნახევარფინალში ითამაშებენ: შვედეთი — გერმანია (დღეს), ნორვეგია — დანია (ხვალ).

ჯანმრთელობაშპირში ტიტო ვილანოვას ნაცვლად „ბარსელონამ“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა 50 წლის არგენტინელ სპეციალისტ სერარდო მარტინოსთან, რომელსაც ლობიერებს თვით ლეო მესი უწევდა. ამ მწვრთნელმა „ნიუელს ოლდ

ბოიზი“ შარშან თავისი ქვეყნის ჩემპიონი გახადა, ხოლო მანამდე პარაგვაის ნაკრები „კოპა ამერიკის“ ნახევარფინალში გაიყვანა.

მხარჯალოს „ანჟის“ ჰოლანდიელმა თავკაცმა გუსტო პიდინემა დადესტურული კლუბის უიღბლო სტარტი — 2 თამაშში 1 ქულა — იუკადრისა და თანამდებობა დატოვა. შეგახსენებთ, რომ მან განვლილ სეზონში ეტოოს და კომპანისას რუსეთის ჩემპიონატის „ბრინჯაო“ მოაპოვებინა.

ესპანეთის ნაკრებისა და „ვალენსიას“ მრისხანე თავდამსხმელი რობერტო სოლდადო 15 მილიონ ევროდ „ტოტენჰემში“ ჩაირიცხა. ცნობისთვის. სწორედ მან გაუტანა „მუნდიალ-2014“-ის შესარჩევი მატჩის 87-ე წუთზე გადამწყვეტი გოლი ჩვენს გუნდს.

გიორგი შოთაძე

რბ განძი გვქონია...



შეიძლება სულ მალე საქართველოს უძველესი ისტორია ახალი ფურცლით შეივსოს

სამეგრელოს უღამაზეს, მალაღმთიან სოფელ კირცხზე მკითხველს ჩვენს გაზეთში შარშანაც მოუფიქრებთ. სოფლის ყურადღება უძველესმა ნაპირებმა და არტფაქტებმა მიიპყრო. ამავე სოფლის მკვიდრი, ანგარდაცვლილი ქალბატონი მალია ბეჭეძე არამართ სოფლის ეთნოისტორიას შეისწავლიდა წლების განმავლობაში, არამედ თანასოფელელთა მიერ შემთხვევით ნაპოვნ უძველეს ნივთებსაც აგროვებდა, აღწერდა და რუდუნებით ინახავდა. ქალბატონ ვალიას მიერ დაწყებული მამულიანი შეიღწეული საქმე შეიღწეულია მალია ბეჭეძის მიერ და მისმა თანამოაზრეებმა განაგრძეს. სასკოლო მუზეუმი, სადაც წლების მანძილზე გროვდებოდა და ინახებოდა 2 ათასზე მეტი ექსპონატი, რომელიც მიეკუთვნება არქეოლოგიას, გეოლოგიას, მინერალოგიას, პალეონტოლოგიას და ეთნოგრაფიას, 2003 წლიდან, გრანტის მოპოვების შემდეგ სასკოლო მუზეუმად და ჩხოროწყის მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმის ფილიალად გადაკეთდა. მადლიერმა შთამომავლებმა მუზეუმს ვალია ბეჭეძეას სახელი მიანიჭეს.

ლიზებულის ვერცხლის ქანდაკებები, სხვადასხვა საკულტო ფიგურები, ბრინჯაოს სამაჯურები და საყოფაცხოვრებო ნივთები. აქვე ნახავთ პირველყოფილი ადამიანების მუხლის ძვალებს, სარმატულ სატევარს და სხვა.

ახლახან, მუზეუმის ხელმძღვანელის თამთა ჭითანავას ინიციატივითა და ორგანიზებით მუზეუმში სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა სუთი მეზუუმის წამყვანმა თანამშრომლებმა მიიღეს. მონაწილე იყვნენ ნოქალაქევის, ზუგდიდის დადიანების, ჩხოროწყის ისტორიული მუზეუმის და მარტვილის მუზეუმის თანამშრომლები.



საკონფერენციო თემები წარმოადგინეს „მუზეუმის მცველების კლუბის წევრმა მონაწილეებმა: ბადრი ოკუჯავამ, ეკატერინე გოშუამ და სალომე არახნიამ. მეტად საინტერესო თემები წარმოადგინეს მონაწილეებმა: „გამყინვარების ეპოქიდან XXI საუკუნემდე“, „სახლები ისტორიის პეტიონი“, „ნოქალაქევი. ციხე-გოჯი. არქეოლოგია“, „დადიანების მუზეუმები“ და სხვა.

კონფერენციის მთავარი მიზანი იყო მუზეუმების პოპულარიზაცია და საქართველოს სხვა მუზეუმებთან ურთიერთთანამშრომლობის გადრეკვა.

სულ მალე არქეოლოგიური გათხრებიც დაიწყება და არამართო მუზეუმი შეივსება ახალი ექსპონატებით, არამედ გამოორიცხულიც არაა, რომ ჩვენი ხალხის უძველესი ისტორიაც ახალი ფურცლებით შეივსოს.

ამთავარი ავთაილი ჯაქაური სურათში: ექსპონატები კირცხის ისტორიული მუზეუმიდან.



სამედიცინო დაზღვევა

„კომპონიტორები“ თაბიანოსავე „სიმეორებს“ არ უნდა მღეროდნენ, ანუ დაზღვევი კომპანიები სამკურნალო საშუალებებს არ უნდა აწარმოებდნენ!

სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის მეორე ეტაპის დაწყებიდან ვერჯერობით ერთი თვეც არ არის გასული, მაგრამ დროის მცირე შუალედის მიუხედავად, მისი სიკეთე მრავალმა ჩვენმა თანამემამულემ უკვე იგრძნო. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მართო მშობიარეთათვის სახელმწიფო სადაზღვევო პაკეტით სარგებლობის შესაძლებლობა, იქნებ ძალიან დიდად არაა, მაგრამ საქართველოში შობადობას გარკვეულწილად მაინც ხელს რომ შეუწყობს, დარწმუნებული ვართ. ამას კი, ჩვენში მშობიარობის დაბალი და, ამავდროულად, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირებისა და მიგრაციის მაღალი დონის პირობებში, რაც მოსახლეობის დიდი ნაწილის არასახარბიელო მატერიალური მდგომარეობითა და სოციალური ყოფითაა განპირობებული, უაღრესად დიდი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

მთავრობას, უნინარესად, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ამ მხრივ, ცხადია, გასაკეთებელი კიდევ ბევრი აქვს და, ნიშნის მოგებად ნუ ჩაგვივითვლით, ვალდებულნიც არიან. თუმცა კი, არც ის გარემოება უნდა გამოგვრჩეს თავდაზღვევიდან, რომ თავად სადაზღვევო სფეროში (ამ შემთხვევაში ლაპარაკია მხოლოდ ჯანდაცვაზე) სახელმწიფოს გარდაკერძო სექტორიც მოღვაწეობს, რომელსაც, ბუნებრივია, საკუთარი ინტერესები აქვს. დღესდღეობით საქართველოში 17 სადაზღვევო კომპანია მოქმედებს, რომელთაგან, ცხადია, თითოეულს ბაზრის გარკვეული სეგმენტი უკავია და, ასე ვთქვათ, განსხვავებული შესაძლებლობიდან გამომდინარე, საქმიანობის პირობითი მხარდაჭერა აქვს შერჩეული. რაც შეეხება უშუალოდ ჯანმრთელობის დაზღვევას, აქ რამდენიმე დიდ კომპანიას უკავია მთლიანი ბაზრის დიდი ნაწილი, რასაც მნიშვნელოვნად მათ საქმიანობაში ასევე ჰოსპიტალური და ფარმაცევტული მიმართულებების არსებობა განაპირობებს. ეს გარემოება საგრძნობლად ზრდის ძლიერი სადაზღვევო კომპანიების გავლენას ჯანდაცვის სფეროში სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების ფასებზე, რომლებიც ჩვენში, მოვევო კომპანიებს აღნიშნული სადაზღვევო სფეროში პირობა სადაღვისოდ შესრულებული არ აქვთ, დათქმული ვადა ვერ კიდევ ამონურული არ არის. განვლილი დროის მანძილზე სადაზღვევო კომპანიებმა საავადმყოფოების აშენებაზე 200 მილიონ ლარზე მეტი დახარჯეს, ამდენად ახლა ხელის ერთი დაცვით ასე უხეშად, რომ იტყვიან „ცოცხალ სხეულზე დანის დასმით“ მათთვის კლინიკების სექტორის „ჩამოჭრა“ ისევ სახელმწიფოს მხრიდან კერძო ბიზნესში უხეში ჩარევა გამოვა, რაც მასზე ძალიან ცუდად იმოქმედებს.

ინტერესთა კონფლიქტის გადაჭრასთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტროს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურში მიზანით, რომ საკითხი სადაზღვევო პირობების სტანდარტიზებით უნდა გადაწყდეს, რათა კომპანიებმა ზუსტად იცოდნენ, თუ რა მომსახურების დაფინანსების უფლება ექნებათ. ასევე საჭიროდ თვლიან, საღვების ხარისხისა და სამედიცინო კლინიკებში მათ დანიშნულ კონტროლის გამკაცრებას.



შემოთქმულიდან გამომდინარე, იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ, უნინარესად მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, სამედიცინო დაზღვევის სფეროში მოღვაწე კომპანიებს ფარმაცევტული მიმართულებით მუშაობა უნდა აეკრძალოს, ხოლო რაც შეეხება კლინიკების სექტორს, ამ თემას გულდასმით მივდგომ უნდა. კერძოდ, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სადაზღვევო კომპანიები ამ განხრით სახელმწიფო ჯანდაცვით პროგრამებში პარალელურად მონაწილეობენ.

ექსპერტების შეფასებით, სადაზღვევო სფეროში მომავალი სინსტიტუციო ცვლილებები ინვესტიციების შემოტანაზე არანაირ ნეგატიურ ზეგავლენას არ იქონიებს, რადგან ფარმაცევტული სექტორი სადაზღვევო კომპანიებისგან უცხოეთში თითქმის საყოველთაოდაა გამოჯანუღი. რაც შეეხება ამ საკითხისადმი სამშულო ფარმაცევტული ფირმების გარკვეულ უაწყობი დამოკიდებულებას, აქ, უნინარესად მათი პროდუქციის მომხმარებელთა ინტერესები უნდა იყოს გათვალისწინებული, რაც საკვებით სამართლიანია.

როში მოღვაწე კომპანიებს ფარმაცევტული მიმართულებით მუშაობა უნდა აეკრძალოს, ხოლო რაც შეეხება კლინიკების სექტორს, ამ თემას გულდასმით მივდგომ უნდა. კერძოდ, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სადაზღვევო კომპანიები ამ განხრით სახელმწიფო ჯანდაცვით პროგრამებში პარალელურად მონაწილეობენ.

ოთარ ტურაბელიძე

ინფორმაცია

ორმა მსჯავრდებულმა მავთულთ პირი ამოიკარა

რუსთაშის 317-ე დაწესებულებაში მყოფმა მსჯავრდებულებმა გიორგი ხურციძემ და ლევან კუტალაძემ მავთულით პირი ამოიკერეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ გიორგი ხურციძის მამამ, იაშა ხურციძემ განუცხადა. როგორც იაშა ხურციძემ განაცხადა, მისი შვილი ე.წ. უდოს კომისიის მიერ საქმის თვის ბოლოსთვის განხილვას მოითხოვს. მას შეტანილი ჰქონდა განცხადება, თუმცა, როგორც იაშა ხურციძემ აღნიშნავს, გიორგი ხურციძეს განუცხადეს, რომ ე.წ. უდოს კომისია მის საქმეს ივლისის ბოლოს არ განიხილავს, რადგან გლდანის ციხეში ყოფნისას რეჟიმს სწორად არღვევდა და მისი საქმის განხილვა აგვისტოსთვის გადაიდგება. მსჯავრდებულის მამის ინფორმაციით, კონკრეტული თარიღი ცნობილი არ არის, თუ როდის განიხილავს ე.წ. უდოს კომისია გიორგი ხურციძის საქმეს. როგორც გიორგი ხურციძის მამამ განაცხადა, მსჯავრდებულები მეორე დღეა რაც შიმშილობენ. მისივე თქმით, ხურციძისა და კუტალაძის პროტესტს დაწესებულებაში მყოფი კიდევ 15 მსჯავრდებული შეუერთდა, რომლებიც ასევე მოითხოვენ, რომ ე.წ. უდოს კომისიამ მათი საქმეები სასწრაფოდ განიხილოს.

ინტერპრესი

მეუღლე რევაზი, შვილები ზაზა, ნიკოლოზი, რძლები ნინო, ანა, შვილიშვილები ნინო, ნიკოლოზი, ალექსანდრე, ანასტასია თევზაძეები, ძმა თამაზი, რძალი იამზე, მძისწულეები ანა, ალექსანდრე, ბიძაშვილები თამილა, სოსო, გელა დალაქიშვილები ოჯახებით, მძახლები დალი, ლევან მნათობიშვილები, დარეჯან ნარეშელაშვილი, ლილი, თამაზ, კონსტანტინე ხარაბაძეები იუნყებთან, რომ გარდაიცვალა

სნიპარ დალაქიშვილი-თევზაძე პანაშვიდი 25, 26 VII, თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №4, დაკრძალვა 27 VII, 14 სთ. თბილისის ყოველთა წმიდათა ეკლესიიდან, ელენე ახვლედიანის აღმართი №8.

გოლოცავთ!

სახელოვან ტყუპ ქმეზს



ბამონჩინილ მეცნიერს, აკადემიკოს სემირიან ცაბარიშვილსა და წარსულში პოპულარულ ფეხბურთელს ნიკოლოზ ცაბარიშვილს - სულითა და გულით ვულოცავთ სახელოვან იუბილეს, დაბადებიდან 80 წლისთავს!

ყოფილი კოოპერაციის ქუჩის მცხოვრებთა და მეგობარ-მეგობრებელთა სახელით:

ფრიდონ და მარინა მაჭარაძეები, ავთანდილ, ნანა, ზურაბ და ვახტანგ წარბაქიანი, დავით სალარიძე, თეიმურაზ მურვანიძე, გურამ გომიანიშვილი, ჯაგაზი ბახტაძე, რაჟო ომიანიძე, თინათინ სვიციანიძე, ოთარ მაჩაბელი, გივი და ირა ხარაძეები, გიორგი პერონიძე, ლილი გაგაბიანიშვილი, ჯემალ ფირცხალავა, ანიკო გარიძე, გურამ გომიანიშვილი.

ჩვენი პრესდაიჯესტი

კაქონიკა ვახუშტისა



ამერიკაში სააკაშვილი ალბარ აინტერვიუსა?

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის დავით ონოფრიშვილის განცხადებით, „აშშ-ში არავინ ალბარ გვეკითხება, რას აპირებს მიხეილ სააკაშვილი, იმიტომ, რომ მან უკვე ამონაშრა თავისი ვადა“. ამის შესახებ ონოფრიშვილმა „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, აშშ-ში საქართველოს დელეგაციის ვიზიტის მიზნებსა და ამოცანებზე საუბრისას განაცხადა.

„ალიბა“

საგარეო ვაჭრობაში ლიდერი აზერბაიჯანია, საქართველო სომხეთს უსწრებს

2013 წლის 6 თვეში საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მაჩვენებელმა 4,713 მილიარდი ლარი შეადგინა, აზერბაიჯანის 17,144 მილიარდია, სომხეთის კი 2,671 მილიარდი.

ამ ციფრებიდან ჩანს, რომ აზერბაიჯანი საქართველოსა და სომხეთს მნიშვნელოვნად უსწრებს, თუმცა, თუ აზერბაიჯანის ექსპერტის მოცულობის ნათობაპროდუქტების წილს გამოვსვამთ, რაც აზერბაიჯანის ექსპორტის 92,25 პროცენტია, მაშინ ექსპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საქართველოს ექნება.

„რაზონანსი“

შალვა ნათელაშვილის მეუღლეს მოკვლით ეშუაშობოდა

60 წლამდე მამაკაცმა „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერის შალვა ნათელაშვილის ბინის გაძარცვა სცადა. ამის შესახებ ინფორმაციას შალვა ნათელაშვილის მეუღლე ბელა ალანია ავრცელებს. ალანიას თქმით, მას სახლის კარი ღია დარჩა, თავად კი სამზარეულოში იმყოფებოდა, რა დროსაც ხმაური შემოესმა. დერეფანში გასულმა კი მის ბინაში 60 წლამდე მამაკაცი დაინახა, რომელიც გაიქცა. ალანიას თქმით, მან დაცვის გაფრთხილება მოასწრო, რომელმაც მძარცველი სადარბაზოში დააკავა.

„ახალი თაობა“

გვეკითხებიან - ვუპასუხებთ

კარგია ადგილადის ცვლა

დედაჩემი 74 წლისაა. ჩვენი აგარაკის იქით ის არასოდეს წასულა, წელს კი გადავწყვიტე ვიყიდო მისთვის და ჩემთვის საგზური ზღვაზე. იბანაოს დედაჩემმა ზღვაში, დაისვენოს კომფორტით, მაგრამ მაინც მეშინია, მავნე ხომ არ იქნება მისთვის მის ასაკში ადგილადის ასე ცვლა?

თამარი, ყაზბეგი

გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებთა კანდიდატი თამარი შვანგიძე:

ამ შეკითხვას ერთმნიშვნელოვნად ვერ უპასუხებ, იმიტომ რომ ყველაფერი კონკრეტულად დამოკიდებულია, მაგრამ, როგორც წესი, კლიმატური სარტყლის შეცვლა - ეს ორგანიზმისთვის არსებითი სტრესია. მე, მაგალითად, ვერ ვერ ჩვედი ხანდაზმულ ადამიანებს წასულიყვნენ ცხელ ქვეყნებში, განსაკუთრებით ზაფხულში. უმჯობესია, დაცადონ სექტემბერ-ოქტომბრამდე, როდესაც სავერდოვანი სეზონი დაიწყება. ხოლო თუ ასე გიზიდავთ ზღვა, მაშინ უკეთესია ზაფხულში წავიდეთ არა შავი ზღვის სანაპიროზე, არამედ ბალტიისპირეთში ან ფინეთში.

ასევე უნდა დავიცვათ ხანდაზმული ადამიანები ხანმოკლე მოგზაურობებისგან უცხო კლიმატის ქვეყნებში. თუ ასეთ მოგზაურობას გადავწყვეტთ, მხოლოდ იმ პირობით, რომ დასვენება ოთხ კვირაზე ნაკლები არ იქნება, საქმე ისაა, რომ მოხუცებს, ისევე როგორც ბავშვებს, დაქვეითებული აქვთ საადაპტაციო შესაძლებლობები, ამიტომ აკლიმატიზაციის პროცესი მათთვის 2-3 კვირაა. გამოდის, რომ როგორც კი ორგანიზმი შეეგუება ახალ პირობებს - უკვე უნდა წახვიდეთ, ეს კი ორმაგი სტრესია. ახალგაზრდა ამ სტრესს იოლად უძლებს, აი, ხანდაზმული და არც მთლად ჯანმრთელი ადამიანი - ყოველთვის ვერა. ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებლად უნდა მოვეთხოთ მკურნალ ექიმს, მოგზაურობაში კი - დისციპლინირებულად უნდა დავიცვათ მისი რეკომენდაციები.

სიხნვეს არა მხოლოდ ყავა გვაქვს



ჩემი ქალიშვილი გამოცდებს აბრუნდა. ყავას სვამდა ძალიან დიდი ღოზებით. ამის გამო მე მას ვეჩხუბები, ის კი მეუბნება, რომ ყავა, უკეთესია, ვიდრე ქიმიური პრეპარატებიო. რა თქმა უნდა, უკეთესია ყავა, მაგრამ, იქნებ, არის რამე

უფრო მისადაგებული? სამკურნალო მცენარეები, მაგალითად, ან რაიმე სხვა ნატურალური სტიმულატორები?

სისილი ჩარბაიშვილი, ჩხორიწყე

გვიპასუხებს ექიმი-ნატუროპათი თამარ ქანლაძე:

რასაკვირველია, უამრავი ნატურალური სტიმულატორია. ეს ნივთიერებანი მეტად ეფექტიანად ააქტიურებენ ნერვულ სისტემას გადაღლის ან შრომისუუნარობის დაქვეითების დროს. მათ განეკუთვნება, მაგალითად, ჟენშენის ფესვის, სხვა ციტრუსოვანთა ნაყენი მაგრამ ბავშვებსა და მოზარდებს ისინი უნდა მიეცეთ ფრთხილად, წინასწარ ექიმთან კონსულტაციის შემდეგ. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კი მათი მიღება სულაც არაა სასარგებლო. ამას გარდა, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს საშუალებები სანაღმდეგო მაჩვენებლისაა ნერვული აღგზნების, უძილობის, გულის მუშაობის დარღვევისა და გაზრდილი არტერიული წნევის დროს.

როგორ პროდუქტად „სმოკროს“ იოდი?



მ ი ძ მ მ ა მითხრა, რომ მეტი იოდი უნდა გამოვიყენო. ვიყიდე ვიტამინები, მაგრამ ეს მიკროელემენტი ხომ შეიძლება მივიღოთ საკვებისგანაც. რომელი პროდუქტია განსაკუთრებით მდიდარი იოდით? ი რ ი ნ ა , აბასთუმანი

გვიპასუხებს კვების სპეციალისტი, მედიცინის ფსიქოლოგი ელენე თაბუაშვილი:

ლიდერი ზღვის კომბოსტოა, ბევრია იოდი ასევე ზღვის პროდუქტებში, ზღვის თევზებში. ეგზოტიკური ხილი ფეხიხოც შეიცავს ბევრ იოდს და ზოგჯერ მეტოქეობაც შეუძლია გაუწიოს ზღვის პროდუქტების ზოგიერთ სახეობას.

აი, იოდიზებული მარილის გამოყენება კი ყოველთვის არაა გამართლებული. მასში არსებული იოდის შენაერთები არ არის მყარი და რამდენიმე თვის შემდეგ მათი შემცველობა მნიშვნელოვნად ქვეითდება. ასევე არ ღირს გამოვიყენოთ იოდიზებული მარილი ცხელი კერძების მომზადების დროს, ვინაიდან თერმული დამუშავების დროს იკარგება იოდის 60-მდე პროცენტი. გამოვიყენოთ იგი სალატებში, ცივ საუზმეულში.

ცინცხალი ანეკდოტები

რატომ გეჩხუბებოდა ასე მწარედ წუხელ ცოლი?
- ბიბლიოთეკის გამო.
- ბიბლიოთეკაში იყავი?
- ჰო.
- მაგრამ რატომ გიყვიროდა?
- სამკითხველო დარბაზში ტრუსები დამრჩა.

ამხანაგო პოლკოვნიკო, თქვენი არყოფნისას ბატალიონში საგანგაშო არაფერი არ მომხდარა!
- ბატალიონში გასაგებია. მაგრამ თქვენ რას აკეთებთ, კაპიტანო, აქ, ჩემი ცოლის საწოლში?

მინდელიაქის ცხრილი პირველად პუშკინს დაესიზმრა, მაგრამ მან ვერაფერიც ვერ გაიგო.

ძმარმა ცოლი კურორტზე გააცილა. ერთი კვირის შემდეგ მისგან დეპეშა მიიღო: „მაინც ყველაზე მეტად შენ ერთი მიყვარხარ“...



კადრი

ავტორთა საპურადღებოელ რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA
ბ. ანვლიანი (მთავარი პერსონალი) ქ. 19
ონდამსი 66434

გამომცემელი: შპს „თანამდგომარეობა“ -გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორი“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ) 070.4(479.22) ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 1385001

მთავარი რედაქტორი ალექს ალანიშვილი
299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ქოშულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაძე 514 33-33-24